წელიწადი V/I. 1905 წ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგზაური

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 2. კვირა, 16 იანვარი 1905 წლისა. № 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველკვირული ჟურნალი

„მოგზაური“

(წელიწადი ჩვიდმეტე—პირველი)

გამოდის 1905 წლის 1 იანვრიდან ვრცელი პროგრამით.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ: ფ. მახარაძე, ივ. გომართელი, ი. ევდოშვილი, ნ. ელიავა, ნ. კალანდაძე, ის. კვიცარიძე ლალიონი, გ. მარმალაძე, ყვირილელი, კ. ჯაფარიძე, ალ. წულუკიძე, გრ. წულუკიძე და სხვები.

ჟურნალის ფასი გაგზავნით კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში: ერთი წლით—5 მან., ნახევარი წლით—3 მან. ცალკე ნომერი—15 კ. მისამართის გამოცვლა—40 კ. წლიური ფასის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში—„მოგზაურის“ რედაქციაში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში—შიო ჭუჭუაშვილთან; ვ. გუდილიას წიგნის მაღაზიაში (კირპიჩის ქუჩა)—და ნაძალადევში—წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

ბათომში—ანასტასია გოგრიჭიანთან.

ბაქოში—ტერენტი წერეთელთან (ქალაქის სადგომში).

განჯაში—ი. ევდოშვილთან.

ჟუთაისში—ის. კვიცარიძესთან (ამხანაგ. „კოლხიდა“)

ოზურგეთში—ს. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და ქ-ნ თამარ შარაშიძესთან.

ლანჩხუთში—ივანე კალანდაძესთან.

ჩოხატაურში—ალექსანდრე დარელიძესთან.

ბენაქში—არსენ წითლიძესთან.

სამტრედიაში—ყარამან ნაცვლიშვილთან.

ხონში—ექიმ პ. ლ. კაკულიასთან.

ბათუმში—ი[illegible]შვილთან.

[illegible]ესთან.

[illegible]იძესთან.

[illegible]ნის მაღაზიაში.

[illegible]ერილები და ყოველგვარი კორესპონ[illegible]ირ რედაქციის სახელობაზე.—ყურ[illegible]ტატიები და მოთხრობები, რომელთა [illegible]ესაძლებლათ, ბეჭდვება 3 თვის განმ[illegible] და კორესპონდენციების შესახებ [illegible]კისრულობს. ვისაც რედაქცია ვალს [illegible] წარმოადგინოს ფოსტის ხარჯი.

[illegible] ნიკოლოზის ქ., სახ. № 44.

[illegible]დაქცია „МОГЗАУРИ“.

შინაარსი: ჩვენ მკითხველებს.—დღევანდელი ვითარება, ფ. მახარაძისა.—სხვა და სხვა ამბები.—რუსეთის ქრონიკა —უცხოეთის ქრონიკა.—გრიგალას სიმღერა (მ. გორკისა), კ. ჯაფარიძისა —ცხრა ძმანი (ზღაპარი), ეშმაკისა —გომელის პროცესსის გამო, კ. ჯ-სა —ბ-ნ გოგი-ჩაიშვილის საპოლემიკო ნიმუშები, ა. წულუკიძისა.—ჟურნალ-გაზეთებიდან.—განცხადებანი.

ჩვენ მკითხველებს.

ერთი წელია შორეულ აღმოსავლეთში ომი გრძელდება! ერთი წელია კაცთა ჭლეტა ხდება, დაობლებული ოჯახები ცრემლებს ღვრიან, მეომართა დამშეული ცოლ-შვილი სამოწყალოს თხოულობენ, მრავალი ჯაჭარ-მრეწველნი ეჯარობა-მრეწველობას თავს ანებებენ, უსაქმოთ დარჩენილი მუშები ათასობით ერთი კუთხიდან მეორეს აწყდებიან სამუშაოს მოსაპოვებლათ!.. მეომართა ჩონჩხებით ავსილი, სისხლით შეღებილი ციხე-არტური მრავალი ტანჯვისა, წვალებისა, ავათმყოფობის, ოხვრა-კვნესის შემდეგ დანებდა. ათასი მილიონები ფლოტის სახით წყლის უფსკრულში ჩაიყარა, ჩაიღუპა..

საზოგადოებრივი ცხოვრება ძალზე შეინძრა, საზოგადოება ხმა მაღლა ალაპარაკდა, საზოგადოებრივი ჯგუფები ჩამოკვრიტდენ და ერთმანერთს შეხვდენ პოლიტიკური ცხოვრების ასპარეზზე...

აი ასეთ დროს უხდება განახლებულ „მოგზაურის“ მკითხველებში მოგზაურობა. ძნელი დროა, მძიმე დროა, მაგრამ თანვე საიმედო და შესანიშნავი. სიძნელე [illegible]ძლევია, სიმძიმე შესამსუბუქებელი. საზოგადოებრივი ცხოვრების ძლიერი მაჯის ცემა ყველას სამოქმედოთ იწვევს. ყველას მონაწილეობას საჭიროებს. დიახ, ყველას მონაწილეობა საზოგადო კითხვების გარკვევაში საჭიროა, საჭიროა, რადგან აუცილებელია; საჭიროა, რადგან ეს საჭიროება თვითოეული საზოგადოებრივი ჯგუფის არსებობის კითხვაა, საჭიროა მით უმეტეს დღეს, როცა საერთო მწუხარება-აღტაცებას შეუპყრია ყველანი, როცა ერთი ნაწილი საზოგადოებისა ცდილობს წალეკოს მეორეს ფიზიონომია და თავის ნებაზე თან წაითრიოს, როცა ყველა საზოგადოებრივი ჯგუფები ყველასათვის ცხადათ და ნათლათ არ ჩამოყალიბებულან, სწორედ დღეს არის საჭირო მეტათ ამ საერთო მოძრაობაში თავის გართმევა, საზოგადოების ყველა ნაწილის სახისა და მისწრაფების სავსებით გამომჟღავნება, უმრავლესობის ძალისა და ნიადაგის გამაგრება, ერთი სიტყვით, საჭიროა მეტი ცნობიერება შეგნებაში იარაღის შესამარჯვებლათ. თუ დღეს ჩვენთვის სასურველია საზოგადოებრივი ცხოვრების ცვლილება, მით უფრო სასურველი უნდა იყოს ამ ცვლილების ნაყოფის ხელში შერჩენა, გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

... ვეცადოთ ჩვენი ხელით მოწყული სხვამ ... ჩვენ უნდა შევძლოთ ჩვენი ცდით მოპოვებული ...ავამ არ დაისაკუთროს. რა არის ამისათვის საჭირო? ...ბა და ცოდნა, ე. ი. შეგნება იმის, რაც არის და რაც უნდა იქნეს. ამ მიზნისათვის ამუშავებულან მრავალი ძალები, შეგნების გასაღვიძებლათ და გასაღვივებლათ დაგრგვინავს მედგარი სიტყვა და ამ სიტყვას მოუთმენლათ ელის, იჭერს და იგნებს ერის უმრავლესობა... ამ აზრით ვემგზავრებით ჩვენც მკითხველებისაკენ, ამ იმედით ვშლით ჩვენ შეკვეცილ ფრთებს, ამ გრძნობით ვიწყებთ ერთ პაწია, ვიწრო კუნჭულში მოქმედებას. მოვა დრო ფრთა მოგვეზრდება, პაწია კუნჭული ფართო ასპარეზათ გადაიქცევა და ჩვენი გაზეთიც მცირე წვლილათ შეედინება დიდ სალაროში.

რა გვწადია? ამას მთელი ჩვენი მომავალი გაგაცნობსთ. ამ ჟამათ ახოლოთ მოკლეთ.

ერის უმრავლესობა—აი ვის მივმართავთ ჩვენ. იმ უმრავლესობას, რომელიც ერის სიმდიდრესა და დიდებას ქმნის და თვითონ კი ამ სიმდიდრისაგან ნაფიჩხები-ღა რჩება; იმ უმრავლესობას, რომელიც ტანჯვითა და წვალებით იწრთვნება ახალი ცხოვრების მთასაგვარებლათ, რომელიც სწორეთ ამიტომ წინ იყურება და ყოველივე ხელშემშლელ, ბნელ, უკან დამწევ ძალას გმირული თავგანწირვით შებრძოლებია. ჩვენ სწორეთ ეს უმრავლესობა მიგვაჩნია ერის კულტურულ ძალათ და როცა ჩაგვჩიჩინებენ: ვიზრუნოთ ერისთვის განურჩევლათ სოციალური ჯგუფებისა, დავივიწყოთ დროებით კლასიური წინააღმდეგობაო, ჩვენ ამით სხვისი, სწორეთ იმ უმრავლესობის შრომით გალაღებულთა, მომავლის შიშით აწმყოს მოტრფიალეთა საქმეების მოგვარებას გვირჩევენ. განა მათ საქმეებს კიდევ მოგვარება ეჭირვება, განა იმათ, ვისაც უმრავლესობის იდეალი ეჯავრებათ და აწმყოთი არსებითათ კმაყოფილნი არიან, შეუძლია თავისი კლასიური „მე“ შესწირონ საერთო საქმეს? არა! მხოლოთ მათ ამას არც კი ურჩევენ. ყოველთვის ერის უმრავლესობას მიმართვენ დაეუბნებიან: თქვენ დაივიწყეთ თქვენი ვიწრო ინტერესები, მით საერთო საქმე გაკეთდებაო. მართალია ეს? არა! ვინ არის ეს უმრავლესობა? ერის ის ნაწილი, რომელსაც ცხოვრებამ ხელიდან ყოველივე ქონება გამოაცალა. ცხოვრების სახსრათ მას მარტოოდენ სამუშაო ძალა შერჩენია და ამ ძალით ანვითარებს მრეწველობას, ქმნის სხვისთვის სიმდიდრეს, ზრდის ერის კულტურულ ძალას. ის მწარმოებელია, ყოველივე საწარმოვო იარაღებს მოკლებულია და იძულებულია სხვისი საწარმოვო იარაღებით სხვისი ქონება ზარდოს. ერის უმცირესობაა ამ ქონების პატრონი, სხვისი შრომით განებივრებული, უმრავლესობის გაჭირვებით გამდიდრებული. შრომობს უმრავლესობა, უშრომლათ ისაკუთრებს მის ნაშრომს უმცირესობა. კაპიტალი და შრომა გაიშულია და დაპირდაპირებული. პირველის ზრდა-განვითარება მეორეს ექსპლოატაციას მოასწავებს და მხოლოთ ამ ექსპლოატაციით იცავს თავის არსებობას. მაშასადამე, შრომის ექსპლოტაცია კაპიტალის არსებობის კითხვაა და კაპიტალის პატრონმაც თავის არსებობა უნდა დაიცვას. ასეთია თანამედროვე წარმოების არსებითი მხარე და ამ-ნიადაგზე ჩნდება კლასთა წინააღმდეგობა. ეს წინააღმდეგობა უნდა მოისპოს. როგორ?

თქვენს წინ დევს ჟურნალი „მოგზაური“. გაიხსენეთ და წარმოიდგინეთ რამდენი კაცის შრომა ურევია შიგ. გაიხსენეთ ქაღალდის ქარხნის მუშები, ამ ქაღალდის გადმოტანი მეორე ადგილას, გადასატანი საშუალებანი: რკინის გზები, გემები, ამათი გამკეთებელნი; მანქანა, რომელზედაც იბეჭდებოდა ეს გაზეთი, მუშები, რომელნიც აკეთებდენ ამ მანქანას, ასოთამწყობნი, მბეჭდავნი; და ათასი და ათი ათასი სხვები ხელთ რადენ კაცს უკეთებია ეს პატარასაგანი. თქვენ შეიძლება კმაყოფილი იქნეთ, რომ სამაგიეროთ ხელში გიჭირავთ ... ნალი, რომელიც თქვენ მისწრფებათა გამომსახველია, თქვენი საჭიროების მსახურია, თქვენი თანამგზავრია გრძელსა და ძნელ გზაზე; აბა აიღეთ სხვა რომელიმე ნივთი. იგივე მუშაობაა, მასაც ასი ათასობით მშების ძალა მოხმარებია, გაუკეთებია საზოგადოების უმრავლესობას, მხოლოთ გასაყიდათ გამოაქვს ერთ ვისმე, მას ერთიპატრონი დაურჩა ბოლოს. საქმე უწარმოებია საზოგადოებას, მხოლოთ ნაწარმოები მიუთვისებია კერძო პირს მერე ნუ ამ კერძო პირს შეუძლია რიგიანათ, საზოგადოების საჭიროების დაგვარათ გაანაწილოს ნაწარმოები? რასაკვირველია, არა! ამას კრიზისები ამტკიცებენ. რა არის კრიზისი? ბაზარში განოტანილი საქონელის რიცხვი მოთხოვნილებას ემატება და აუარებელი საქონელი გაუსაღებელი რჩება. ეს მოყვება: მრავალი მრეწველების გაკოტრება, უსაქმო მუშათა რიცხვის გამრავლება, საერთო სიღარიბისა და გაჭირვების გამწვავება. კრიზისი უფრო ნათლათ ამჟღავნებს იმას, რაც წარმოების არსებით ნაკლს შეადგენს. რატომ ხდება ეს? სწორეთ იმიტომ, რომ საქმეს აწარმოებს საზოგადოების უმრავლესობა, მხოლოთ ნაწარმოებს ისაკუთრებს უმცირესობა. კერძო პირი დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი მოიგოს. მეტ მოგებას მეტი საქონლის გაკეთება ეჭირვება. მან ამავე დროს არ იცის რამდენს ამზადებენ იმავე საქონელს სხვები. ბოლოს გამოდის, რომ იმაზე მეტი გაუკეთებიათ, ვიდრე საჭირო იყო. ხელმძღვანელობა უვარგისი გამოდგა, რატომ? იმიტომ რომ ხელმძღვანელია ერთი პირი, მაშინ როდესაც სახელმძღვანელოა მთელი საზოგადოების საქმე. ერთი კაცი ამ დიდ საქმეს ვეღარ უძლვება. ამნაირათ დღევანდელ წარმოება მოუწესრიგებელია: წარმოება გადიდდა, წარმოება განსაზოგადოვდა, მხოლოთ საზოგადოება კი არ უდგა მას სათავეში, მაშ საჭიროა სასოგადო წარმოებას საზოგადოება ხელმძღვანელობდეს. რატომ უდგას დღეს კერძო პირი წარმოებას სათავეში? იმიტომ, რომ მის ხელშია საწარმოვო იარაღები. როგორ უნდა ჩაუდგეს წარმოებას სათავეში საზოგადოება? საწარმოვო იარაღები საზოგადოების ხელში უნდა გადავიდეს... აი მიზანი. როგორია საშუალება?

სათავეში ჩადგომას ძალა უნდა, ძალას შექმნა, ამ ძალას თვით ცხოვრება ამზადებს. უმრავლესობა დღითი-დღე მატულობს, კიდევ უფრო მრავლდება. ერთი საჭიროებით გარემოცულნი, საერთო საქმეს ეცნობიან, ერკვევიან, იგნებენ და საერთოთ ეწყობიან მის მოსაგვარებლათ. ამნაირათ ძალა მატულობს და ძალა იწვრთნება. გაერთიანებულმა და გაწვრთნილმა ძალამ მოქმედების ასპარეზი უნდა გაიფართოოს, მეტი მონაწილეობა მიიღოს საერთო საქმეებში... მან ფართო უფლებები უნდა მოიპოვოს... აღნიშნული მიზნის მისაღწევათ, შესაფერი საშუალებების მოპოვება და ... —აი რა გვწადია ჩვენ.

საზომი ხელით გვაქვს და ... ხდება დღე-... ვანდელ ჯგუფთა განწყობილებ... დაგვარათ, ხელი შევუწყოთ ... კას, ჩვენ ვეცდებით ნათელი ... დაპიროთ ბუნდოვან და მშიშა... ბით ვეგებებით და ვულოცავთ ...

დღევანდელ...

მძიმე და იმავე დროს მ... საზოგადოებრივი ცხოვრების ... ცემს, და ეს გარემოება სიც...

ვინც აქამდის სასოწარკვეთილი იყო. დადგა ჩვენშიაც ისეთი დრო, როცა თითოეულ წამს უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ვინემ სხვა დროს მთელ საუკუნოებს. რას ვხედავთ ჩვენ გარშემო? საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელსაც, ადიდებულ მდინარესავით, გაუხეთქია ძველი, ვიწრო კალაპოტი და რომელიც ესწრაფვის ახალი უფრო ფართო და უფრო შესაფერი კალაპოტის გაკეთებას. რამდენიმე თაობის მხურვალე მისწრაფებამ, პატიოსან და თავდადებულ პირთა შრომამ და მეცადინეობამ დღეს მიახწია უმაღლეს წერტილს და ლომობს ხორცი შეისხას, დაგვირგვინდეს. მაგრამ რამდენათ სანატრელი და აღმაფრთოვანებელია დღევანდელი წამი, იმდენათ იგი აღმაშფოთებელი და შესაზარიცაა. ადამიანთა აურაცხელი მსხვერპლი, ომის საკურთხეველზე შეწირული, შეუჩერებელი ქლეტა ჯანსაღ ახალგაზდათა სიცოცხლისა ისეთ საშინელ საშუალებათა წყალობით, რომლების მსგავსი არც ერთ ველურ და ბარბაროსულ ხალხს სიზმარშიაც კი არ მოჩვენებია, აურაცხელ ქვრივ-ობოლთა და მოხუც მშობელთა უპატრონოთ და უსახსროთ დარჩენა, აუარებელი სიმდიდრის ტყუილა-უბრალოთ დაღუპვა და განადგურება, და საერთოთ ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ნორმალური მსვლელობის შერყევა, შეჩერება,—აი მოკლეთ რა შეადგენს დღევანდელ წამის მეორე უდიდეს დამახასიათებელ თვისებას. სიცოცხლე და სიკვდილი, ყოფნა თუ არ ყოფნა პირისპირ ებრძვან დღეს ერთმანეთს ჩვენ თვალწინ, და შეუძლებელია, რომ საზოგადოებამაც, ამოდენი ხნის დაყრუებისა და ძილის შემდეგ, არ მიიღოს ამ საარსებო, სამკვიდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა.

ყოველმა ცოტათ თუ ბევრათ შეგნებულმა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ ეს ბრძოლა არ დაწყებულა გუშინ, რომ იგი არ გამოუწვევია რუსეთის და იაპონიის ომს. პირიქით, მთელი ეს მოძრაობა და თვით დღევანდელი ომი უკანასკნელი მოქმედებაა იმ საშინელი დრამისა, რომელსაც ჩვენი საშინაო ცხოვრება ეწოდება. არიან ისეთი გულუბრყვილონი, რომელთაც კიდევ ჯერათ, რომ რუსეთის და იაპონიის ომი უბრალო, შემთხვევითი უბედურებაა, რომლის თავიდან აცდენა ადვილათ შეიძლებოდა, რომ იმათ, ვის ხელშიაც იყო და არის აქამომდე ჩვენი საშინაო და საგარეო ცხოვრების ბედ-იღბალი, მეტი შორს-მჭვრეტელობა და გამჭრიახობა გამოეჩინათ. იმათი აზრით, თვით ეს მოძრაობაც შემთხვევითი მოვლენაა, და თუ არ ეს ომი, თუ არა ჩვენი სასტიკი დაშარცხება იაპონიასთან ბრძოლაში, ისე ამ მოძრაობას ადგილი არ ეჭნებოდა. მაგრამ ასეთი შეხედულება მიუტევებელი შეცდომაა. დღევანდელი ომი, მაგარი, რკინის ჯაჭვით არის გადაბმული მთელ ჩვენ წარსულ ცხოვრებასთან და განსაკუთრებით კი იმ სისტემასთან, რომელიც დამყარდა და გამაგრდა რუსეთის ხალხის ცხოვრებაში ამ უკანასკნელ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში. როცა მხედველობაში მივიღებთ რუსეთის ეკონომიური ცხოვრების ძირითად პირობებს, რომლებიც ბოლოს და ბოლოს შეადგენენ მთელი თანამედროვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების საფუძველს, მაშინ ჩვენთვის აშკარა ხდება როგორც რუსეთის და იაპონიის ომის, ისე დღევანდლი საზოგადოებრივის მოძრაობის აუცილებლობა. გამჭრიახმა და შორს-მჭვრეტელმა პირებმა უკვე ბევრი ეცადეს როგორც პირველის, ისე განსაკუთრებით მეორეს თავიდან აცილება, მაგრამ იმათ მეცადინეობამ სრულებით ამათ ჩაიარა. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო. საზოგადოება მხოლოთ მანამ ემორჩილება კერძო პირებს, სანამ საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები ამ უკანასკნელთ წინააღმდეგობას არ უწევენ, ე. ი. სანამ ეს კერძო პირები საზოგადოების თანახმათ მოქმედებენ. მაგრამ როცა მმართველ პირებსა და საზოგადოებას შორის იბადება კონფლიკტი, როცა პირველნი აჩრიან საზოგადოებას თავიანთ სურვილებს და ბრძანებებს, რომლებიც საზოგადოებას წინააღმდეგ არიან მიმართული, მაშინ თუ საზოგადოებას სიცოცხლის მაჯა უცემს, მან მთელი თავისი ძალღონით უნდა წინააღუდგეს ასეთ მიმართულებას და სძლიოს იგი, თორემ მას სიკვდილი მოელის. ასეთ საზოგადოებაში წარმატებასა და წინსვლაზე ლაპარაკი აღარ შეიძლება. ამას ვტიმტკიცებს კაცობრიობის წარსული ისტორია, ისტორიული და საზოგადოებრივ მოვლენათა მეცნიერული შესწავლა.

აქედან აშკარა ხდება იმ ღრმა მიზეზების გათვალწინება, რომელთა წყალობით რუსეთის ხალხს თავზე დაატყდა ეს ომი, რომელმაც თავის მხრით დააჩქარა და გააძლიერა ის მოძრაობა, რომელიც რუსეთის ხალხის გულში კარგა ხანია ღვიოდა და რომლის აფეთქებისათვის საჭირო იყო მხოლოთ რაიმე გარეგანი გარემოება. რუსეთი, როგორც ყველაფერში: ისე თანამედროვე კაპიტალისტური მრეწველობის ასპარეზზე შედარებით გვიან გამოვიდა, ე. ი. იგი იმ დროს ჩაება კაპიტალიზმის ფერხულში, როცა რუსეთის ბურჟუაზიისათვის საჭირო ბაზრები აზიისა, აფრიკისა და ავსტრალიის ქვეყნებში უკვე დიდი ხანია დაჭერილი იყო კაპიტალისტურათ განვითარებული ქვეყნების ბურჟუაზიის მიერ. ყველა ქვეყნის ბურჟუაზიისათვის კი ბაზრის, ე. ი. საქონლის გასასაღებელი ადგილის შოვნა არსებითი, სასიცოცხლო კითხვაა. მართალია, რუსეთის ბურჟუაზიისათვის თვით რუსეთი თავისი 130—40 მილიონი მცხოვრებლებით ვეებერთელა ბაზარს წარმოადგენს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ორი გარემოება. 1) რუსეთის ხალხს, როგორც კულტურულათ დაბლა მდგომს, ძლიერ ნაკლებათ აქვს განვითარებული მოთხოვნილებები და ამიტომ ძლიერ ნაკლებათ თხოულობს ბაზარზე საქონელს; მეორე მხრით კიდეც რომ ქონდეს მოთხოვნილება, საღსარი არა აქვს საქონლის შესაძენათ, საყიდლათ, ვინაიდგან ნივთიერათაც იგი მეტის-მეტათ გაღატაკებული და წელში გაწყვეტილია უზომო გადასახადების და ბაჟების წყალობით. გარდა ამისა რუსეთის საქონელი მფარველობითი სისტემის წყალობით, ე. ი. უცხოეთის საქონელზე დიდი ბაჟების დადებით, შედარებით ძლიერ ძვირია. ასეთ პირობებში რუსეთის ბურჟუაზიისათვის აუცილებელი შეიქნა შინაური ბაზრის გაფართოება. ამ მოთხოვნილების შესრულება და დაკმაყოფილება იკისრა მთავრობამ, რომელიც თავის მხრით არა ნაკლებათ არის დაინტერესებული ბურჟუაზიის და კაპიტალიზმის განვითარებაში, რადგანაც ეს გარემოება მას საშუალებას აძლევს იყოლიოს ძლიერი ჯარი და ფლოტი. ჯარების და სამხედრო ფლოტის გაძლიერება თყით ბურჟუაზიისათვისაც დიდათ ხელსაყრელია, რადგანაც ამით მას უჩნდება დაულეველი შეკვეთა ხაზინის მხრით სხვა და სხვა სამხედრო საგნებისა, და ყველამ კარგათ უწყის, თუ ხაზინა ამ მხრით როგორ ხელგაშლილია.

2) ყველა ამას, თითქო განგებ, ზედ ერთვის კიდევ ის გარემოება, რომ რუსეთის უზარმაზარ სახელმწიფოს, ამოდენა ჯარის და ძლიერი სამხედრო ფლოტის მყოლს, არა აქვს ისეთი ნავთსადგური ზღვაში, საიდანაც ყოველ დროს თავისუფლათ შეიძლებოდეს გასვლა. ამნაირათ ერთი მხრით რუსეთის ბურჟუაზიას უნდა ეშოვნა სადმე უფრო ადვილათ გასასღებელი ადგილი თავის საქონლისათვის, და მეორე მხრით მთავრობასაც უნდა მოეპოვებია გაუყინავი ნავთსადგური თავის სამხედრო და სავაჭრო გემებისათვის, რომელსაც გზა დაკეტილი არ ჰქონოდა, როგორც შავი ზღვის ნავთსადგურებს აქვთ ხოლმე.

ერთათ ერთი გასაწვდი ადგილი, როგორც რუსეთის ბურჟუაზიას, ისე რუსეთის მთავრობას, შორეულ აღმოსავლეთი-

საკენ ჰქონდათ. ამიტომ ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში იმათი ერთათ ერთი სატრფიალო მიზანი წყნარ ოკეანის ნაპირზე თავისუფალი ნავთსადგურის შეძენა და იქ დამყარება შეიქნა. ამისთვის მთავრობა არ ზოგავდა არავითარ მსხვერპლს. ეჭვი არ არის, რომ შორეულ აღმოსავლეთში თავის მიზნის განხორციელებისთვის ისინი ნაკლებ წინააღმდეგობას და დაბრკოლებას მოელოდენ. იაპონია ამ ათი—თხუთმეტი წლის წინეთ არავის მხედველობაში არ ჰქონებია, რაც შეეხება ჩინეთს, იგი ხომ ყურადღების ღირსი არ იქნებოდა. უეჭველია ისიც, რომ რუსეთს მანჯურიის და კორეის დაპყრობა და შემოერთება ჰქონდა მხედველობაში, როცა აღმოსავლეთისაკენ მიიწევდა, მაგრამ ეს ბუნებით მდიდარი და მჭიდროთ დასახლებული ქვეყნები არც სხვა ქვეყნის ბურჟუაზიისთვის იყო ნაკლებათ სანატრელი ლუკმა. ევროპის და ამერიკის ბურჟუაზია იმათ უფრო ადრე შესცქეროდა და თავისი ეკონომიური ბატონობა რამოდენიმეთ კიდევაც დაემკვიდრებიათ იქ თავიანთ ნაწარმოების გავრცელებით. სრულ დამორჩილებისათვის კი შემთხვევა იყო საჭირო, რომელიც ხელში ჩაუგდებდა ბუნებით მდიდარ ქვეყნებს უფრო ძლიერ ბურჟუაზიას.

ამნაც დიდხანს აღარ დაიგვიანა. ჩინეთსა და იაპონიას შორის ატეხილმა ომმა 1895 წელს დაინტერესებულ ქვეყნებს მიზეზი მისცა ჩინეთის საშინაო საქმეებში გარეულიყვენ და ამ ვეებერთელა სახელმწიფოს ტერიტორია თავიანთ საკენკათ გაეხადათ. გამარჯვებულ იაპონიას კი არ მისცეს საშუალება თავის გამარჯვებით სივსებით ესარგებლებია. კიდევ უკეთესი შემთხვევა 1900 წლის არეულობა იყო ჩინეთში ევროპიელების წიინააღმდეგ. იაპონიამ ამ დროსაც ისახელა თავი, მაგრამ რუსეთმა და ევროპის უძლიერესმა სახელმწიფოებმა აქაც ჩაუშხამეს მას საქმე და მხოლოთ თითონ იხვედრეს მოზრდილი კერძი ჩინეთის ანგარიშზე. სხვათა შორის რუსეთმა დაიკავა საუკეთესო ნავთსადგურები: პორტ-არტური და დალნი და ვეებერთელა ტერიტორია მანჯურია 25 მილიონი მცხოვრებით. ეს უკანასკნელი თუმც დროებით, მაგრამ როგორც შემდეგ გამოირკვა, სამუდამოთ სურდა ხელში ჩაეგდო. თავის განზრახვის სისრულეში მოსაყვანათ, რუსეთმა გამაგრა ეს ნავთსადგურები, გაიჩინა იქ უძლიერესი სამხედრო ფლოტი და შემოუერთა ისინი რკინის გზით რუსეთს. ასეთმა საქციელმა ყველა დაინტერესებული სახელმწიფოები გააბრაზა, მაგრამ ყველაზე უფრო შეურაცხყოფილი შეიქნა იაპონია, რომლის მომავლისათვის რუსეთის დამყარება დასახელებულ ადგილებში ძლიერ საშიში გარემოება იყო. იაპონიისათვის ცხადი იყო, რომ თუ რუსეთი დამყარდებოდა მანჯურიაში, ეს იმას ნიშნავდა, რომ ეს მხარე სრულებით დაიკეტებოდა საგარეო ვაჭრობისათვის დიდი ბაეების საშუალებით, რადგანაც რუსეთის საქონელი თავისუფალ ბაზარზე ვერ გაუწევს მოცილეობას უცხო ქვეყნის საქონელს. გარდა ამისა მანჯურიას და კორეას იაპონია, რომელიც მეტათ მჭიდროთ არის დასახელებული, როგორც ახალ შენებს ისე უყურებდა. ამიტომ აშკარაა, რომ იაპონია ყოველ ღონეს იხმარდა, რუსეთისათვის აქ მედგარი წინააღმდეგობა გაეწია და იგი დაეჭრილ ადგილებიდან გაეძევებია. აი ამ ნიადაგზე ატყდა ეს ღირსსახსოვარი ომი, რომლის გამო, აგერ წელიწადი სრულდება, უმოწყალოთ იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი.

ზევით ჩვენ გვინდოდა რამდენიმეთ დაგვენახებინა მკითხველებისათვის, რომ ამ ომის ატეხა არ იყო შემთხვევითი მოვლენა, არამედ მას ღრმა მიზეზი ჰქონდა ორივე მებრძოლ ხალხის საზოგადოებრივ პირობებში. ეს ომი შეადგენს დღეს ყველაზე უდიდეს მოვლენას არა მარტო რუსეთის ცხოვრებაში, არამედ დანარჩენ ხალხთა უმეტესობისათვისაც. ყველა იმ შედეგების გათვალისწინება: რომლებიც მას უნდა მოყვეს. დღეს ჩვენთვის შეუძლებელია. იმის აღნუსხვაც კი ძნელია, რაც აქამდის მოყვა მას. პირველი შედეგი არის ის, რომ სხვა-ზოგადოებამ აშკარათ დაინახა ბიუროკრატიული წესის, რომლითაც აქამომდე განაგებდენ რუსეთის ხალხს, სრული გაკოტრება და ახალ ცხოვრებასთან შეუსაბამობა; რომ იქ, სადაც ყოველივე წესიერათ არის მხოლოთ ქალაქში და არა სინამდვილეში, არა ცხოვრებაში, საზოგადოებას დიდი განსაცდელი მოელის და საჭიროა დიდი ენერგია და ხასიათის სიმტკიცე, რომ უბედურება თავიდან აიცდინონ. როგორც მკვდრის გაცოცხლება აღარ შეიძლება, ისე დაპოქსებული წესის აღდგენა და განახლება შეუძლებელია. უკანასკნელი ამბები აშკარათ მოწმობენ, რომ რუსეთის ხალხში შენახულა იმოდენი ცხოველმყოფელი ძალა, რომ იგი ძლევს იმ დაბრკოლებებს, რომლებიც მას ყოველ ფეხის ნაბიჯზე ელობება წინ. მაგრამ ნუ ერწმუნებით ყველას. ამ საერთო ხოროში ურევიან ყალბი ხმებიც, ბევრი მლიქვნელი და მაცდური ენები. საჭიროა იმათი გარჩევა, და თვისი პოზიციის მტკიცეთ დაცვა. ყველა გაზეთები, საზოგადოების ყველა ჯგუფები თუ კლასები უკმაყოფილო არიან დღევანდელი ომით. მაგრამ რისთვის? ნუ თუ ამ უკმაყოფილებას რაიმე საერთო აქვს? ნუ თუ აქაც საერთო „ნაიდაგი“ არის? სრულებითაც არა: ერთნი იმიტომ არიან უკმაყოფილო, რომ აშკარათ ხედავენ დღევანდელ ბიუროკრატიულ წესს სამარე ეთხრება და აშკარავდება მისი გამანადგურებელი შხამი. მეორენი უკმაყოფილო არიან იმიტომ, რომ რუსეთი ვერ იპყრობს კორეას, მანჯურიას, ინდოეთს, რომ ამით გაძლიერდეს რუსეთის ჯარის დიდება და ბურჟუაზიამ იშოვნოს ბაზარი და დიდი ბაეების, ე. ი. მფარველობითი სისტემის, წყალობით შემოზღუდულმა, გარეშე საშიშ მოცილეებისაგან უზრუნველყოფილმა, არხეინათ მოისვენოს და ჯიბე ოქროებით გაიტენოს. არა, არა ამიტომ არიან უკმაყოფილონი ისინი, ვინც მშრომელი ხალხის, ქვეყნის მუშაკების და მკეთებლების ინტერესს იცავენ. მაგრამ ამის შეგნება და ცოდნა არ შეიძლება ასე ადვილათ, ამისთვის საჭიროა სისტემატიური მეცადინეობა და ობექტური, მიუდგომელი, დაფასება ყოველივე იმასა, რაც ჩვენ გარშემო ხდება. შვცვლილი და ახალ გზაზე დაყენებული „მოგზაური“ ეცდება ეს მუშაობა რამდენიმეთ მაინც გაუადვილოს ჩვენ მკითხველებს. ნუ დაივიწყებთ კი, რომ აწინდელი წამი არის მეტათ სანატრელი და მას სიამოვნებით მოიგონებს ჩვენი მომავალი თაობა. არ ვუმტყუნოთ ჩვენ დანიშნულებას და ვეცადოთ, რომ მომავალმა თაობამ ჩვენც სიამოვნებით და პატივისცემით მოგვიგონოს.

ჩვენი ვალია მედგარათ და მტკიცეთ სვლა წინ, ერთხელ დასახულ მიზნისაკენ. ჩვენი საბოლოო მიზანი არ არის ორჰოფი, ორ-აზროვანი და ბურუსში გახვეული. როგორც ამომავალი მზე, იგი ნათლათ მოჩანს. გაუმარჯოს ჩვენ იდეალს! ვუსურვოთ გამარჯვება ახალ **„მოგზაურს“, ახალი** ცხოვრებისაკენ მიმავალს.

ფ. მახარაძე.

სხვა და სხვა ამბები.

შარშან ტფილისის ქუჩების მომკირწვლელმა კომისიამ საუკეთესო სისტემით მოაკირწვლინა სულ 5,600 ოთხ-კუთხსაენი. როგორც კომისიის ცნობებიდან ჩანს, ქალაქში 28,000 ოთხ-კ. საენი სრულიად მოუკირწლავი ყოფილა. წელს იმ ქუჩების მოსაკირწლავათ რიყის ქვით საჭიროა 140,000 მან., საუკეთესო სისტემით მოსაკირწლავ ქუჩებისთვის—200,000 მან. ქალაქმა თავიდანვე 200,000 მან. გა-

დასდო კარგის სისტემით ქუჩების მოსაკირწლავათ. აქედან შარშან დახარჯულა 150,000 მან. კომისიას ამ წლისათვის დარჩენია 50,000 მან.; საჭირო კია 200,000 მან. როგორც ვიცით, 600,000 მან. გარდა საბჭომ გადასწყვიტა იშოვოს კიდევ 400,000 მან. ქუჩების მოსაკირწლავათ. ამიტომ კომისიამ დაადგინა, თხოვოს გამგეობას 50,000 მანეთის გარდა იშოვნოს კიდევ 150,000 მან. საერთოდ კი იმ ერთ მილიონ მანეთის გარდა, რომელიც ქუჩებისათვის არის გადადებული, კომისიის აზრით, საჭიროა კიდევ ნახევარი მილიონი მანეთი.

კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობის აღმასრულებელმა მიწერილობა დაუგზავნა გუბერნატორებს საქონლის ჭირთან ბრძოლის შესახებ. მიწერილობაში ნათქვამია, საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ თვით ხალხმა თავისუფლათ მრმართოს ხოლმე ექიმებს, არ ეშინოდეს ექიმებისა. დღემდის კავკასიაში საბეითალო ნაწილის წარმომადგენელთა მოღვაწეობა გამოიხატა მხოლოთ საპოლიციო ზომების მიღებით. ასეთი მოქმედება და კარანტინების დაწესება სულ სხვა აზრს უბადებს ხალხს ბეითლებზე. ამიტომ არის, რომ ხალხი ავადმყოფ საქონელს მალაულ და აღარ აჩენსო.

V პეტერბურგიდან ადგილობრივ გაზეთებს ატყობინებენ: გაზეთის კიოსკები ბევრგან დალეწილა. გასტინი დვორში (სავაჭრო სახლები) ფიცრები ააკრეს; დანარჩენ მაღაზიებსა და დუქნებსაც საჩქაროთ ფიცრებს აკრავენ. 11 იანვარს ქუჩებში სამარისებური სიჩუმე იყო. („ნ. ო.“).

გაზ. „ცნობ. ფურც.“-ს ახალსენაკიდან ატყობინებენ, რომ 11 იანვარს რკინის გზის ლიანდაგზე მუშებმა თავი გააანებეს მუშაობასო.

იმავე გაზეთს ფოთიდან ატყობინებენ: 3 იანვრიდან რკინის ლიანდაგზე დღიურმა მუშებმა ყარი თქვეს მუშაობაზე და დღიურათ თხოულობენ მანეთს. რკინის გზის მთავრობამ ამ ამბის გამო განკარგულება მოახდინა გაფიცულ მუშების მაგიერ ოსმალები მოიწვიონ.

ამიერ კავკასიის რკინის გზის მთავარ სახელოსნოების სადგომში 12 იანვარს, დილის 7 საათზე, საწყობში ჩასულა ვაგონების ამქრის ბრიგადირი სამსონ გამყრელიძე. კარებთან გამყრელიძეს ვიღაც მოსწვდია, ორჯელ რევოლვერი უსროლია და იქვე მოუკლავს. მკვლელი ვერ აღმოაჩინეს.

ყაზანის ვექილებმა ტელეგრამით თანაგრძნობა გამოუცხადეს ვექილს სოკოლოვს, რომელიც ქ. გომელში სასამართლოს თავმჯდომარემ იძულებული გახადა თავი დაენებებია ებრაელების დაცვისათვის.

გაზ. „ნაშა ჟიზნ“-ი შემდეგ ცნობას გადმოგვცემს: კაჩურას, რომელმაც ხარკოვის გუბერნატორათ ნამყოფის თავ. ობოლენსკის მოკვლა მოიწადინა, სიკვდილით დასჯა მიესაჯა და შემდეგ სიკვდილით დასჯა სამუდამო კატორგათ შეუცვალეს. ამ ჟამად კაჩურა გამოუშვეს შლისელბურგის საპატიმროდან და არხანგელსკის გუბერნიაში ასახლებენ.

პეტერბურგის ქალთა საურთიერთო დამხმარებელ საზოგადოებამ შუამდგომლობით მიმართა მინისტრთა კომიტეტს, რათა ქალებს უფლება მიეცეს მონაწილეობა მიიღონ საეროზო და საქალაქო არჩევნებში და აგრეთვე არჩეულ იქნენ ისინი საზოგადოებრივ დაწესებულებებში.

სრულიად რუსეთის დოსტაქარ-ა კრებაზე, მოსკოვში წაკითხულ იქმნა მოსკოვის უნივერსიტეტის საიუბილეთ დაწერილი ადრესი, რომელშიაც ის აზრია გამოთქმული, რომ რუსეთის უძველესმა უნივერსიტეტმა ბევრი განსაცდელი გამოიარა ადმინისტრაციის თვითნებობის გამო. ამ ბოლო დროს რუსეთში აღძრული განმათავისუფლებელი მოძრაობა იმას მოასწავებს, რომ ამ თვითნებობის აღსასრული მოახლოვებულია და რუსეთში შებორკილ მეცნიერებასაც მალე მოეცლინება თავისუფლებაო.

გაზ. „გრაჟდანი“ იუწყება, რომ ქ. ირკუტსკში (ციმბირშია) გენერალ-გუბერნატორსაც ღარ აქვს შაქარი და ჩქარა საღამოობითაც სახლის განათებაც აღარ შეეძლება. იმავე ქალაქში ყველა სასწავლებლები დაკეტილია ნავთის უქონლობის გამო.

---

4 იანვარს მოსკოვში მოხდა მასწ. ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების წევრთა კრება. კრებაზე სხვათა შორის დაადგინეს: სახალხო მასწავლებლების ზნეობრივი, უფლებრივი და ნივთიერი მდგომარეობის გასაუჯობესებლათ და აგრეთვე ხალხის განათლების წარმართ და სწორ გზაზე დასაყენებლათ აუცილებელ საჭიროებას შეადგენს მასწავლებლების შეკავშირება. მასწავლებელთა ორგანიზაციების სწორ გზაზე დასაყენებლათ საჭიროა შემდეგი პირობები: მასწავლებელთა ორგანიზაციების შესახებ არსებული ნებართვითი სისტემა უნდა შეცვლილ იქნას გამოცხადებითი სისტემით; ორგანიზაციის ყველა თანამდებობის პირნი უნდა არჩეულ იქმნან; მასწავლებელთა მოღვაწეობა განთავისუფლებულ უნდა იქნეს სკოლის ადმინისტრაციის კონტროლისაგან. ყველა ორგანიზაციას მინიჭებულ ექნეს რამდენადაც შესაძლებელია სრული ავტონომია. შემდეგ კრებამ გადასწყვიტა: აუწყოს საერო განათლების მინისტრს სახალხო მასწავლებლების გაჭირვებული მდგომარეობა და ამასთანავე გადაწყვიტა ამორჩეულ იქნას ცალკე კომისია მასწავლებლების ჯონებრივ მდგომარეობის შესახებ არსებულ სტატისტიკური მასალის დაწვრილებით შესამუშავებლათ.

გასულ წლის 13 დეკემბერს ბაქოს მუშებმა გაფიცვა დაიწყეს. თითქმის ყველა სამრეწველო რაიონებში, ყველა ქარხნებში, ფაბრიკებში, სტამბებსა და სახელოსნოებში მუშაობა შეჩერდა. ხელოსნები და მუშები ჯგუფ-ჯგუფათ შეგროვილნი გადადიოდენ ერთი სამრეწველო ადგილიდან მეორეში, აჩერებდენ მუშაობასა და სტანოკებს. ზოგიერთი სახელოსნოები, როგორც მაგალითათ როტშილდისა, რომლებშიაც მუშაობის განახლებას აპირობდენ, გაფიცულთა ბრბომ დალეწ-დაანგრია.

გაფიცვა მეორე დღესაც გაგრძელდა და თანაც გაძლიერდა, რის გამო აღარ გამოსულა ადგილობრივი გაზეთები. ორთქლის უქონლობის გამო ელექტრონის სადგურმაც შეწყვიტა მუშაობა და მთელი ეს ადგილი სიბნელემ მოიცო. შეწყვეტილი იქმნა აგრეთვე ტელეფონი ქალაქსა და სამრეწველო რაიონებს შუა.

წესიერების აღსადგენათ და არეულობის მოსასპობათ თფილისიდან ჯარი ჩამოვიდა, რომელმაც დაიჭირა ადგილი ქარხნების რაიონში და რკინის გზის დაყოლებაზე.

მუშების მოთხოვნილებანი დაახლოებით შეეხებოდა: სამუშაო დღის შემცირებას, სამუშაო ჭირის მომატებას, ზედ მეტ მუშაობის მოსპობას, მუშათა ბინის მოწესრიგებას, მუშებთან ზრდილობიან მოპყრობას, რიგიან აბანოების გამართვას და სხ.

14 დეკემბერს ნავთის მწარმოებელთა სხდომამ დაადგინა ცალკე კომისიის შედგენა, რომელსაც მუშათა წარმომადგენელთან ერთათ უნდა განეხილა გაფიცულთა მოთხოვნილებანი და ერთმანეთთან შეთანხმებით შეწყვეტილი მუშაობა აღედგინათ. მოლაპარაკებამ უნაყოფოთ ჩაიარა. ბოლოს საქმე იმდენათ გამწვავდა, რომ გაფიცულ მუშებსა და პოლიცია-ჟანდარმებს შორის სასტიკი შეტაკება მოხდა, რამაც რამოდენიმე კაცი იმსხვერპლა.

ამ ჟამათ ბაქოს მუშათა გაფიცვა დასრულებულია; ხოლო რა პირობებით შეთანხმდენ მუშები და მრეწველნი შემდეგში შეეტყობით.

რუსეთის ქრონიკა

მთავრობა აცხადებს შემდეგს პეტერბურგის მუშების გაფიცვის შესახებ: 1904 წლის დასწყისში, პეტერბურგის ფაბრიკებისა და ქარხნების ზოგიერთ მუშათა შუამდგომლობით, დამტკიცებულ იქნა წესდება „პეტერბურგის ქარხნებისა და ფაბრიკების მუშათა საზოგადოებისა“. ამ საზოგადოებას ქონდა თავის წევრთა სულიერ და გონებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მუშების დაცვა მავნე ვრცხვენდისაგან. საზოგადოების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა სპეციალის მღვდელი გეორგი გაპონი. ახლათ დარსებული საზოგადოება გადიდებისა და გაფართოვებისათვის შეუდგა ქარხნებსა და ზავოდებში მუშებსა და ბატრონთა შორის არსებულ დამოკიდებულების განხილვასაც. განვლილ წლის დეკემბერს საზოგადოებამ ძალი დატანა პუტილოვის ქარხნის მუშებს, ჩარეულიყვენ ქარხნიდან დათხოვნილ ოთხი მუშის საქმეში. რაკორც შემდეგ ადმოჩნდა, ეს მუშები არც-კი დაუთხოვნიათ, არამედ თითონ წასულან. მიუხედავათ ამისა, მღვდელ გაპონისა და დასხელებულ საზოგადოების წევრთა მიერ ადელვებულმა პუტილოვის ქარხნის მუშებმა 2 იანვარს მუშაობა შეწყვიტეს და იმავე აგიტაციის გავლენით მოითხოვეს რაკორც ამხანაგების დაბრუნება, ისე შეცვლა მუშათა მიღების, გასტუმრების და დათხოვნის წესრიგისა. უსაფუძვლო ჩაირა საქარხნო ინსპექციის დარიგებამ და გაფიცვას მიემხრენ პეტერბურგის ზოგიერთ სხვა დიდ ქარხნების მუშებიც. შემდეგ გაფიცვა სწრაფათ გავრცელდა და მოედო პეტერბურგის თითქმის ყველა ქარხანასა და ფაბრიკას. გაძლიერებასთან ერთათ იზდებოდა მუშათა მოთხოვნილებანიც. ეს მოთხოვნილებანი, შედგენილი უპეტეს ნაწილათ იმავე მღვდლის გაპონის მიერ, გავრცელებულ იქმნა მუშათა შორის. პირველათ მოთხოვნილებანი ეხებოდნენ 9 იანვარს შრავალ რიცხოვან ჯგუფებათ გაქცეულ მუშების ცენტრისაკენ. ზოგ ადგილას მუშებსა და ჯარს შორის ისმოდის ლვრა მოხდა, რადგან არ იშლებოდენ და ხანდახან თავს ესხმოდენ კიდეც ჯარებს. ჯარები იძულებული იყვენ თოფი გაესროლათ შლისელბურგის ტრაქტზე, ნარვის კარებთან, ტროიცკის ხიდთან მესამე დიანაზე, ვასილევის კუნძულის პატარა პროსპექტზე, ალექსანდრეს ბაღთან, ნევის პროსპექტის კუთხეში, გოროხოვის ქუჩაზე, პოლიციის ხიდთან და ვიბურგის მოედანზე. ვასილევის კუნძულის მეოთხე დიანაზე ბრბომ გაიშენა მავთულებისა და ფიცრებისაგან სამი ბარიკადი და ზედ ამართა წითელი დროშა. მეზობელ სახლების ფანჯრებიდან ჯარს დაუნიშნეს ქვები და რევოლვერებიც ესროდეს. პოლიციელებს ბრბო არომეოდა ხმლებს, გაძარცვეს შაფთის თოფებსა, მოიტაცეს ასამდე პირი ხმლისა, რომელნიც მერე წაართვეს ისევ პოლიციელებმა. პირველ ნაწილში ვასილევსკოეს მხარეზე ბრბოს ერთმა ნაწილმა ტელეფონების მავთულები დაწეიტა და ტელეფონის ბოძები წაქცია. ამ ვასილევსკის უბანში მეორე პოლიციის ნაწილის შენობას დაეცენ და დაანგრიეს. იმავ სადამოს დიდს და პატარა პროსპექტებზე პეტერბურგის მხარის უბანში ხუთი დუქანი აიკრძალა.

ათ იანვარს პეტერბურგში მთელი დღის განმავლობაში შეტაკება არ მომხდარა ხალხსა და ჯარს შორის. არც იარაღის ხმარება დასჭირდა ჯარს: რადგან ჯარის დანახვაზე ხალხი გარბოდა ხოლმე. თავის დროზე იყო შეჩერებული გაფიცულების წადილი, რომელთაც უნდოდათ დღისით დაეგმოდენ „გოსტინი დვორს“. სადმოთი გაფიცულებს მიემატენ ელექტრონის სადგურის მუშებიც, რის გამო ხალხის ერთმა ნაწილმა სიბნელით ისარგებლა და სხვა-და-სხვა ქუჩებში აქა-იქ მდებების შუშები ჩაუმტვრიეს, მაგრამ წესიერება მაშინაც სახიჭიროთ აღდგენილ იქნა. 10 იანვრის განმავლობაში მოკლული და დაჭრილი არ უოფილა. ხამდეილ გამოსარკვიათ 9 იანვრის განმავლობაში აღმოჩნდა: მოკლული 96 და დაჭრილი 333, ამათ შორის 58 მსუბუქათ არიან დაშავებული და ამბულატორიაში დადიან.

12 იანვარს პეტერბურგში გამოქვეყნდა მთავ. უდიდებულესობის სახელობითი ბრძანება უმაღლესს სენატისადმი: ამ უკანასკნელ დღეებში პეტერბურგში მომხდარ შემთხვევების გამო საჭიროთ ვცანით მივმართოთ განსაკუთრებულ არჩეულებრივ ზომებს სახელმწიფოს წესწუობილების და საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დასაცველათ. ამ მიზნით ჩვენ საჭიროთ დავინახეთ დავწესოთ თანამდებობა პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორისა, როგორც ეს ნახსენებია კანონ-მდებლობაში მოსავარ მმართველის დანიშვნის შესახებ.

1) გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებიან ქალაქი პეტერბურგი და პეტერბურგის გუბერნია; 2) რაც შეეხება სახელმწიფო წესიერების და საზოგადოების უშიშროების დაცვას, ამ მხრივ გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებიან ადგილობრივი ყველა სამოქალაქო მმართველობანი და ყველა ხარისხის სასწავლებელნი რომელ უწეებასაც უნდა ეკუთვნოდენ; 3) გენერალ-გუბერნატორს უფლება აქვს, შინაგან საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით, მიიღოს ხოლმე ზომები ცენზურის წესდების მე-140 მუხლში მოხსენებული; 4) გენერალ-გუბერნატორს უფლება ძლევა გამოაცხადოს ხოლმე სავალდებულო დებულებანი, რომელნიც უნდა შეეხებოდენ წესისა და რიგის დაცვას მთელ საგენერალ-გუბერნატოროში, ამ დებულებაშივე უნდა დადგინდეს ოყოს სასჯელი და წესი საქმეების გარჩევისა დებულებების ამორღვევთათვის, თანახმათ ძალიერებულ დაცვის დებულების მე-15 და მე-16 მუხლისა, რისთვისაც გენერალ-გუბერნატორს შეუძლია დააკისროს ამ საქმეების გარჩევა თავის ხელქვეით პეტერბურგის გუბერნატორს და გრადონაჩალნიკს. ეს უფლებანი გენერალ-გუბერნიატორს ეძლევა დამოუკიდებლათ ამ უფლებისა, რომელიც მას აქვს ძალიერებულ დაცვის დროსთვის მინიჭებული; 5) გენერალ-გუბერნატორს უფლება ეძლევა საზოგადოებრივ მოვარ-მოხელეთა და-

სახმარებლად გამოუძახოს ხოლმე ჯარს ყოველ ამ შემთხვევაში, რადესაც იგი საჭირო დაინახავს. რა რიცხვი ჯარისა, რა გვარი იარაღით მოუნდება, ამას თვით მთავრობა. იმ წამიდან, რა წამსაც გენერალ გუბერნატორი ჯარს გამოიწვევს, ჯარი მისი ბრძანების თანახმით მოქმედებს; 6) გენერალ-გუბერნატორის უფლებას მთელ საგენერალ-გუბერნატოროში ემორჩილებიან, როგორც პეტერბურგის საგუბერნიო ყანდარმთა მმართველობა, აგრეთვე ყანდარმთა ზოლიციის რაიონის გზების მმართველობანი. ამათ გარდა ზოლიციის მხრივ მასვე ემორჩილებიან ყველა დაწესებულებანი და მოხელე პირნი იმ ადგილებში, რა ადგილებიც რაიონის გზების და მათ დიანდაგებს ეკუთვნიან; 7) გენერალ-გუბერნატორს ემორჩილებიან, ზოლიციის მხრივ, ყველა სახაზინო ფაბრიკები, ზავოდები და სახელოსნოები, რომელნიც მთელ საგენერალ-გუბერნატოროში იმყოფებიან; 8) ყველა უფლებანი შინაგან საქმეთა მინისტრისა, რომელნიც შეეხებიან არჩეულ პირთა თანამდებობაზე დამტკიცებას, ქალაქის საზოგადოებებში და კრობის სამმართველოებში, გენერალ-გუბერნატორს გადაეცა, როგორც სატახტო ქალაქში აგრეთვე მთელ საგენერალ-გუბერნატოროში; და მე-9 გენერალ-გუბერნატორს უფლება აქვს ადუგრძალოს თვითოეულ პირთ ცხოვრება როგორც სატახტო ქალაქში, ისე პეტერბურგის გუბერნიაში. უმთავრებულესი სენატი ადასრულებდათ ამისა მოახდენს საჭირო განკარგულებას. დედანზე მათი იმპერატორობითი უმაღლესობის ხელით აწერია: **„ნიკოლოზი“**. ცარსკოე სელოში 11 იანვარს 1905 წელსა.

გენერალ-მაიორი ტრეპოვი პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორათ დაინიშნა.

მთელი რუსეთის ყურადღება მოცულია დღეს პეტერბურგში და სხვა დიდ ქალაქებში იანვრის დამდეგს დაწყებული მუშათა გაფიცვებით.

რუსეთში გაფიცვები პეტერბურგიდან დაიწო. პირველთ გაიფიცენ პუტილოვის ფაბრიკის მუშები, ქარხანაში მუშაობა შეწყდა, ქარხნის გარეთ, ქუჩებში მუშები ჯგუფ-ჯგუფათ დადიან. მათ შორის ბევრი ქალია, არავითარი ხმაურობა არ ისმის, მხოლოთ დრო გამოშვებით ქარხნის კარებს მუშათ ერთი ჯგუფი მიუახლოვდება და ცოტა ხნის შემდეგ ისევ უკან ბრუნდება. სიჩუმე მხოლოთ ყანდარმის ესკადრონმა დაარღვია, რომელიც კაზარმებისაკენ მიეშურებოდა. ყანდარმები ცხენებს მიაჭენებდენ და ჩქარობდენ. ქარხნის კარებზე გაკრულია განცხადება დირექტორისა, რომელიც აცხადებს, რომ მუშების თხოვნა მუშის ტეტიავკინის დათხოვნის შესახებ უსაფუძვლოა, გარდა ამისა დირექტორი აცხადებდა, ვინც სამუშაოთ დაბრუნდება, გამოტოვებულ დღეების სამუშაო ფასიც მიეცემა და არც დაისჯება, ხოლო თუ 7 იანვრამდე მუშაობა არ დაიწყეს, კანონის ძალით უველა მუშა დათხოვნილი იქნებაო. ამ განცხადებამ მუშებზე არავითარი გავლენა არ იქონია და სამუშაოთ არავინ არ დაბრუნდა. 4 იანვარს, 7 საათზე, ქარხანაში რამდენიმე მუშა დაბრუნდა და უნდოდათ მუშაობა დაეწყოთ, მაგრამ სხვა მუშებმა ნება არ მისცეს და უკანვე დაბრუნეს; ქარხანაში დარჩენ მხოლოთ ინჟენერები, სახელოსნოების უფროსები და ის ხელოსნები, რომელნიც ქარხნის ადმინისტრაციაში ირიცხებოდენ. კაჩეკარებიც არ იყვნენ და ამიტომ ქარხნის 200 ოთახის ქვაბი ადარ მოქმედებდა, დინამო-მაშინებიც შეჩერდენ და ელექტრონიც გამქრალი იყო. 5 იანვარს მუშებმა ქარხნის დირექტორს წარმომადგენელი გაუგზავნეს და შეატყობინეს, რომ დღეს, სალამოს 7 საათზე თქვენთან მუშების ყველა ამქართა დეპუტატია მოვა და მუშების სურვილსა და პირობებს შეგატყობინებსო. სალამოს 7 საათზე მუშების ყველა ამქართა დეპუტატი—40 კაცი ქარხნის ეზოში შეიყარა.

დეპუტატის მიეძღოდა მღვდლის ტანასმოსში ჯვრიანი კაცი; ეს კაცი იყო—მღვდელი გეორგი გაპონი, პეტერბურგის საპყრობილის კლესიის მოძღვარი, ინიციატორი და თავმჯდომარე „ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კრებისა“.

მღვდელი გაპონი დეპუტატის მოთავე იყო და ქარხნის ადმინისტრაციასთან მოსალაპარაკებლათ მიდიოდა. დირექტორის ოთახთან პოლიციელები იდგნენ, თვით ოთახში კი მოადგილე დირექტორი იოგანსონი და ქარხნის ორი უფროსი ინჟენერი. დეპუტატია ოთახში შეიყვანეს.

მღვდელმა გეორგი გაპონმა მუშათა სახელით შემდეგი მოითხოვა:

1) ხელოსანი ტეტიავკინი უნდა დათხოვნილ იქმნას, ორი დათხოვნილი მუშა კი—სერგუნინი და სუბოტინი უკანვე უნდა მიიღოთ;

2) 8 საათის სამუშაო დღე უნდა დაწესდეს;

3) ახალ ნაწარმოებებზე დაფასება გამოცდის შემდეგ უნდა მიენდოს ხელოსანთა და მუშებისაგან ამორჩეულ პირთ, რის შემდეგაც მათი დადგენილება სავალდებულო უნდა იყოს. რაც შეეხება ძველ დაფასებას ხელმეორეთ უნდა გადაისინჯოს ახალი წესით;

4) პუტილოვის ქარხანაში უნდა დაინიშნოს მუშების მიერ ამორჩეულთაგან ცალკე კომისია, რომელმაც ქარხნის ადმინისტრაციასთან ერთათ უნდა განიხილოს ყველა მუშის პრეტენზია. მუშების დათხოვნა ქარხნიდან ამ კომისიის ნება დაურთველათ არ შეიძლება.

5) მუშის დღიური ხელფასი ერთ მანეთზე ნაკლები არ უნდა იყოს;

6) ზედმეტი სამუშაო უნდა მოისპოს, მაგრამ თუ ეს სამუშაო აუცილებელია მუშას 1 საათი 2 საათათ უნდა ჩაეთვალოს;

7) თუ ნამუშევარი მუშის მიზეზით არ იქნა დაწუნებული, მუშას ხვედრი ფასი უნდა მიეცეს;

8) მუშა ქალს დღეში 70 კაპ. ნაკლები არ უნდა ეძლეოდეს, მცირე წლოვან ბავშვთათვის კი თავშესაფარი უნდა დაარსდეს:

9) ქარხნის ექიმებმა და მკურნალებმა მუშებს უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ (უფრო კი დაშავებულთ);

10) უნდა გაუმჯობესდეს სანიტარული მდგომარეობა ზოგიერთ სახელოსნოში უფრო კი სამჭედლოში;

11) გაფიცვის დროს არც ერთი მუშა არ უნდა დაისაჯოს;

12) ის დრო, როცა მუშაობა არ არის, მუშას გამოტოვებულ დღეთ არ უნდა ჩაეთვალოს და ადმინისტრაციამ მუშას საშუალო ხელფასი უნდა მისცეს.

ამ ქალაქზე, სადაც ეს პირობებია ჩამოთვლილი და რომელიც ქარხნის დირექტორს გადაეცა, აწერია: „ნამდვილთან სწორია. მღვდელი გეორგი გაპონი“

მღვდელი გაპონი, დეპუტატის წევრები და დირექტორი ამ პირობების წამკითხველს კითხვას ცალკე შენიშვნებით და სიტყვებით აწყვეტინებდენ გარდა ამისა დეპუტატმა მოითხოვა სამი რიგი მუშაობა, ე. ი. დღისით და ღამითაც. დირექტორი ამბობდა, 8 საათის სამუშაო დღის შემოღება და ახალ დაფასებისა და ხელფასის შემოღება აქციონერებს მთლათ გააკოტრებს; ქარხანას ფული შემოაკლდება და საქმე ჩაიშლებაო.

— აქციონერები კი არა, მუშები არიან გაკოტრებულნი. ესეც თუ არა, ამხანაგებო?—სთქვა მღვდელმა გაპონმა.

დირექტორმა უთხრა დეპუტატიას, თქვენი პირობების ასრულება არას გზით არ შეიძლება, რადგან ქარხანას ეხლა აქვს მოგება მხოლოთ 7%. და თუ თქვენი პირობები ავასრულეთ, სულ მთლათ დავიღუპებითო. დირექტორის პასუხმა, დეპუტატია ვერ დააკმაყოფილა. მღვდელმა გაპონმა განაცხადა, მუშები ქარხნის აქციონერთა გამგეობას მოელაპარაკებიან და ეხლანდელ დირექტორის დათხოვნას მოითხოვენო. გარდა ამისა გაპონმა სთქვა, ეხლანდელ დირექტორს ადმინისტრაციის წარმომადგენელათ არ ვთვლითო.

საზოგადოთ დეპუტატიასა და ადმინისტრაციას განცხადებული კამათი ქონდათ. ყველანი აღელვებული და აშფოთებული იყვნენ.

დეპუტატია წავიდა.

ამაყვე დღეს გაიფიცენ მუშები ფრანკოუურტის ქარხნისა. რამელიც გემების ქვაბებს ამზადებდა.

5 იანვარს ადრე დილით, პუტილოვის ქარხანაში მოულოდნელათ გაისმა ფაბრიკის სასტვენის ხმა. ქარხნის ადმინისტრაციას მოეხერხებია შეეგონებინა რამდენიმე კონეკარისათვის საორთქლე ქვაბების გახსნება. გაუშვეს ორთქლი; აინთო ელექტრონი. მრავალი მუშა მიდიოდა ქარხნისაკენ; მოვიდენ სახელოსნოს უფროსები და ოსტატები. პირტო გაუხდელათ და ქუდებით დადგენ მუშები თავიანთ დაზგებთან და რამდენიმე წუთის შემდეგ ისევ ური თქვეს

შუშაობა ს—ადმინისტრაციამ არ მიიღო ჩვენი მოთხოვნები, ოთხიანვარს წარდგენილია. აიძულეს ცეცხლით ჩაქრობა და უყვედა, 13 ათასი მუშა, წყიდა ქარხნიდან დინჯათ და აუშფოთებლათ. მომხმარებელ საზოგადოების დუქნები დაიკეტა და მუშებიც ყიდულობდენ სანოვაგეს, როგორც ნისიათ, ისე ნაღდზე. სადამოს ექვს საათზე შუტილოვის ქარხნის გამგეობაში მივიდენ, როგორც გადაწყვეტილი ქონდათ, მუშების დეპუტატები მდგდ. გიორგი კვირიკის მეთაურობით. მდ. კვირიკმა იკისრა წარედგინა გამგეობისათვის ის მოხსენებანი, რომლებიც არ მიიღო დირექტორმა სმირნოვმა; ასეთი იყო საერთო სურვილი შუტილოვის ქარხნის მუშებისა და „ფაბრიკა-ქარხნების მუშათა კავშირის“ წევრებისა. მოლაპარაკების დროს გამგეობის დირექტორმა შესტაკოვმა იკითხა: აქამდის რათ არ იბაძვლით უსამართლობაზე. დეპუტატებმა უპასუხეს, რომ ყველა მათი საჩივარი უნაყოფო იყო და დამნაშავენი დაუსჯელი რჩებოდენო; დარჩა გრუდ მუშას არ შეუძლია მფარველი იშოვოს ადმინისტრაციის ბიერებ შორისო. შემდეგ დეპუტატებმა აუხსნეს გამგეობას, ნაკეთების დაფასებაა მუშების წარმომადგენლებთან ერთათ ორივე მხრისათვის სასარგებლო იქნება, სამუშაო თანასწორათ განაწილდება მუშებს შორის, საქმით ყველამდე ავსილი და სრულიად უსაქმურათ დარჩენილი ადარ იქნებიანო და სხ. დირექტორი შესტაკოვი, როგორც ჩანდა, თანახმა გახდა დეპუტაციის მოსაზრებისა, და იმდენი იყო, რომ შეთანხმება მოხდებოდა, მაგრამ ამ დროს მეორე დირექტორმა ნარატოვმა თქვა, რომ ეს საკითხი აქციონერების კრებამ უნდა გადაწყვიტოსო. ბოლოს შესტაკოვმა გამოუცხადა დეპუტაციას, რომ ზოგი მოთხოვნა, მაგალითათ 8 საათის სამუშაო დღის შემოდება, თვითონ მინისტრისაგან არის დამოკიდებულიო. ზოგი, მაგალ., დაფასების ახალი წესი და ქირის მომატება აქციონერების საზოგადო კრებამ უნდა განიხილოს და ეს კრება კი, თანახმათ წესდებისა, ერთ თვეზე ადრე ვერ მოხდებაო. რაც შეეხება იმ დროისძაებათ, რომელთა მიღება თვით გამგეობას შეუძლია, ეხლა გადაწყვეტილ პასუხს ვერ მოგცემთ, მაგრამ დაუყოვნებლივ შევიდგებით მუშების სახიერების განხილვას და ჩვენ გადაწყვეტილებას მოკლე დროში შეგატყობინებთო. დეპუტატი ვერ დაკმაყოფილდა გამგეობის პასუხით. მომხმარებელი დუქნები დაი დარჩება, მაგრამ სანოვაგეს ნისიათ ადარ მისცემენ მუშებს.

„ფრანგ-რუსთა საზოგადოების“ მუშათა გაფიცვა მეორე დღესაც მშვიდობიანი იყო. 5 იანვარს, სადამოს 9 საათზე ქარხანაში მივიდენ მუშების დეპუტატები, მაგრამ დირექტორმა არ ინება მათი მიღება—ეს დეპუტატები რატომ თვით ქარხანაში არ აირჩიეს მუშებმაო. 4 იანვარს შემდეგი მოთხოვნები წარუდგინეს მუშებმა ქარხნის ადმინისტრაციას:

1. ქარხნის ადმინისტრაცია გულ-ახდილად, პირდაპირ უნდა ზრუნავდეს მუშის საჭიროებაზე და არ კმაყოფილდებოდეს მარტო დაპირებით, რომელიც არასოდეს არ სრულდება.

2. გაფიცვის მიზეზების გამოსაკვლევათ უნდა შესდგეს რჩევა მუშების მიერ არჩეულ დეპუტატებისა და ქარხნის წარმომადგენლებისა; ამ რჩევაში მუშებს და ქარხნის წარმომადგენლებს თანასწორი ხმები უნდა ჰქონდეთ.

3. დეპუტაციის წევრებს ხელი არავინ არ უნდა ახლოს და ვერც ქარხნიდან დაითხოვენ.

4. საერთო გადაწყვეტილება სავალდებულო უნდა იქნეს და გაწერული სახელოსნოებში, ადმინისტრაციისა და უფროს საქარხნო ინსპექტორის ხელმოწერილი.

5 გაფიცვის გამო არავინ არ უნდა დაისაჯოს.

6. გაფიცვის დრო დაკარგულათ არ უნდა ჩაეთვალოს მუშებს და უნდა მიეცეთ საშუალო ქირა.

ამის საპასუხოთ ადმინისტრაციამ გაუგზავნა შემდეგი განცხადება. მუშების საჭიროებათა გამოსაკვლევათ ადმინისტრაცია თანახმაა მოლაპარაკება გამართოს დეპუტატებთან, რომელთაც სურვილი ექნებათ აირჩევს ქარხნის მუშები; ამასთან პირველი ხუთი პუნქტი მუშების მოთხოვნისა პრინციპიალურათ მიღებულია: რაც შეეხება მეექვსე პუნქტს, იგი კომისიამ უნდა განიხილოს. მუშებს ეწვევდენ—5 იანვრის დილით შეკრებილიყვენ მუშები თავიანთ სახელოსნოებში და ელოდით 8 საათს. 5 იანვარს ბუშებმა წარმოადგინეს შემდეგი ახალი მოთხოვნანი:

1. მოსპობა განსაზღვრულ სამუშაო დღის ზემეტი მუშაობისა.

2. მოსპობა მუშების გაჩხრეკისა.

3. მოსპობა ჯარიმებისა გაშვებულ დღეებისთვის, თუ სამ დღეზე მეტი არ ყოფილა.

4. ავათმყოფ მუშებს ეძლიოს ნახევარი დღის ქირა; ხოლო თუ ქარხანაში დასახიჩრებულია, სრული ქირა.

5. წამლობა მუშებისა და მათი ოჯახის წევრებისა ქარხნის ხარჯით უნდა ხდებოდეს.

დასასრულ მუშები თხოულობდენ ერთი ოსტატის გაგდებას და რამდენიმესთვის საყვედურის გამოცხადებას.

5 იანვარს კაიფიცენ ნევის საზოგადოების გემთ-საშენებელი ქარხნის მუშები. მუშებმა (რვა ათასზე მეტია) დიდიდანვე მშვიდობიანათ დაჰყვეს თავი მუშაობას. ამათაც წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნანი ქარხნის ადმინისტრაციას; ეს მოთხოვნანი ისეთივეა, როგორც ბუტილოვის ქარხნის მუშებისა. ამასვე დღეს კაიფიცენ შტიგლიცის ნაქსოვ ქარხნის მუშები. აქ რვა ათასამდე მუშაა. კაიფიცენ აგრეთვე ეკატერინგოფის მუშებიც.

— 13 იანვარს პეტერბურგში მოაწერობამ გამოაცხადა შემდეგი: „მაისის უდიდებულესობის ბრძანებით, შინაგან საქმეთა მინისტრი და პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორი აცხადებენ შემდეგს: საზოგადოებრივ ცხოვრების წესიერი მსვლელობა ამ ბოლო დროს დაირღვა მუშაობის აღკვეთით ქარხნებსა და ფაბრიკებში. მუშებმა თავიანთ და ქარხნის პატრონთა საზარალოთ თავი გაანებეს მუშაობას და გამოაცხადეს ისეთი მოთხოვნილებანი, რომელნიც ეხებიან მუშებისა და მექარხნეთა ურთიერთ დამოკიდებულებას. ამ მოძრაობით ისარგებლეს არა კეთილმა ზრახვებმა და მუშები იარაღათ გაიხადეს თავიანთ განზრახვის განსახორციელებლათ მათ გაიტაცეს მუშები სოფლებიდ დაბრუნებით. შეეკითხენ ამ მავნე აგიტაციას მოეგო წესიერების დარღვევა პეტერბურგში და ჯარის ჩარევა, რაც აუცილებელია ხოლმე ამგვარ შემოხვევების დროს. ეს მოვლენა დიდათ საშფოთარია. ბოროტი კაცები შეთათს აგდებენ და ეურადღებას არც კი აქცევენ ამ გაკვირვებას, რომელშიაც ამ ომიანობის დროს ჩვენი საშობლო ჩავარდა. ამათ ხელში პეტერბურგის ქარხნების მშრომელი ხალხი ბრმა იარაღათ გადაიქცა. მუშებმა ეურადღება არ მიაქციეს, რომ ამათი სახელით ისეთი მოთხოვნილებანი იქნა დასახელებული, რასაც მუშების საჭიროებასთან საერთო არა აქვთ-რა, მუშაობაზე ხელი აიღეს და ისიც კი დაივიწყეს, რომ მთავრობა ყოველთვის ზრუნავდა მუშათა საჭიროებისთვის და ეხლაც ზრუნავს. მთავრობა ეგელა ამ საჭიროებას დააკმაყოფილებს, რომელთათც კი საჭიროება მოითხოვს, მაგრამ მთავრობის ამ მოდვაწეობისთვის უპირველესათ საჭიროა წესიერების აღდგენა და მუშების მიერ მუშაობის განახლება. არეულობების დროს შეუძლებელია მთავრობის მხრივ მშვიდობიანი და საგულდაგულო მუშაობა მუშების სასარგებლოთ, შეუძლებელია უწესობებას და ძალადობას მოჰყვეს მუშათა მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რაც უნდა სამართლიანი იყოს ეს მოთხოვნილებანი. მუშებმა უნდა გაუადვილონ მთავრობას ის საქმე, რომელიც მუშების ყოფა მდგომარეობის გაუმჯობესობას შეეხება, ხოლო ეს შეუძლიათ ერთის გზით—მოშორდნენ იმათ, გისაც მხოლოთ შეთითი უნდა, ვინც განზეა მუშათა ნამდვილ გაჭირვებასთან, ვინც არად აგდებს რუსეთის ნამდვილ ინტერესებს. მუშათა ინტერესები წამოაყენეს ამათ მხოლოთ შეთითის და არეულობის ჩამოსაგდებათ. მუშები უნდა დაუბრუნდენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმეს, რომელიც ისევ საჭიროა სახელმწიფოსთვის, როგორც თვით მუშებისათვის, რადგანაც უამისოთ შიმშილი მოელით მუშებსა და იმათ ოჯახებს. მუშებმა უნდა იცოდენ, რომ მათ საჭიროებაზე ისევ ფიქრობს ხელმწიფე იმპერატორი, როგორც ეგელა თავის ნამდვილ ქვეშევრდომის საჭიროებაზე, რომ მისმა უდიდებულესობამ კეთილ ინება და თავის სურვილით ბრძანა შეუდგნენ მუშათა

დაზღვევის საკითხის შემუშავებას. დაზღვევას აზრათა აქვს უზრუნველ ყოს ბუშები ამ შემთხვევისთვის, თუ დაშავდენ ან ავათ გახდენ. მარტო ამით არ თავდება ხელმწიფე იმპერატორის მზრუნველობა მუშათა სკეთილდო. ამასთან ერთათ მისის უდიდებულესობის ნებართვათ, ფინანსთა სამინისტრო მზათ არის შეუდგეს ახალ კანონის შემუშავებას. ეს კანონი შეეხება სამუშაო დროს შემცირებას და ისეთ ზომებს, რომელთაც საშუალება უნდა მისცენ მუშებს კანონიერათ მოიპოვარკონ და განაცხადონ თავიანთ საჭიროებებზე. ქარხნის, ფაბრიკის და სხვა სამრეწველო დაწესებულების მუშებმა დეე იცოდნენ, რომ თუ მუშაობას დაიბრუნდებიან, შეეძლიანთ იმედი იქონიონ მთავრობისა, რომელიც დაიცავს მუშების და იმათ ოჯახების ხელუხლებლობას, მთავრობა ეცდება დაიცავს ისინი, ვისაც მუშაობა უნდა, იმათგან, ვინც ძალას ატანს, ვინც ხმა მაღლა დაპირაკობს თავის უფლებაზე, მაგრამ იკი მარტო თავის უფლებათ მიაჩნია და თავის ამხანაგებს კი რომელთაც შრომა უნდათ, მუშაობის ნებას არ აძლევს. ფინანსთა მინისტრი სტატს-სეკრეტარი ვ. კოკოვცევი, პეტერბურგის გენერალ გუბერნატორი, მისის უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორი დ. ტრეპოვი".

პეტერბურგში ამ ჟამათ მხოლოთ გაზეთი „ვრაჟიტელსტვენი ვესტნიკი"-და გამოდის, ისიც შემოკლებული და „ედიომასტი გრაფნახალსტვა" სრულათ.

კოვნო, 11 იანვარი. ქალაქში და მის მიდამოებში გაფიცა სამი ათასამდე მუშა დათოხის ხუთ ქარხანაში. ტრამვაის (კონკის) მოძრაობა შეჩერდა. ზომები მიღებულია.

მოსკოვი, 12 იანვარი. ამ ხანათ გაზაის ქარხანა მუშაობს ჯარის მფარველობის ქვეშ. ელექტრონის სადგურიც მუშაობს. ვეიხელტის ელექტრო.მეხანიკურ ქარხანაში 400 მუშა გაიფიცა. მუშები იმასვე ითხოვენ, რასაც პეტერბურგელი გაფიცული მუშები. ბევრმა სტუმბებმა და მათ შორის ისე დიდებმა, როგორც დუგინსონის და მამონტოვისა, მუშაობა მოსპეს. არ იციან ჯერ გაზეთი გამოვა თუ არა. ეს დამოკიდებული იქნება მუშებთან მოლაპარაკების როგორ გათავდება. ქალაქ გარეთ ქარხნებთან ჯარის პატრულები დგანან. ეზოებში ჩაუენეს სამხედრო კომანდები და ყარაულები. რომელი ფაბრიკებიც კი მუშაობენ, სალდათები დარაჯობენ, რომ კერძო პირნი არ შეუშვან. ტინდალის დიდი სამანუფაკტურო ფაბრიკის მუშაბიც გაიფიცნენ, პრახოროვის მანუფაკტურის მუშებიც მოუსვენრობას იჩენენ. მუშები ჯგუფ-ჯგუფათ დადიან გარე ქუჩებში, მაგრამ შუა-გულ ქალაქში არ უშვებენ. მუშაობა ისევ დაიწყეს ტინდალთან, მეშერინოვთან და დუგინსონის სტამბაში. ბახრუშინის ტუავისა და მაუდის ქარხანა იკო, რომ მუშაობა ისევ დაიწყეს, მაგრამ რატა ქუჩებში მთელი გროვა მთვრალი მუშებისა გამოჩდა ქარხნის პატრონს შეეშინდა მანინები არ გამიფუჭონო, და მუშაობა მოსპო. სეპტემბრის რიცხვში გაიფიცნენ ბრის ქვაბის ქარხნის მუშები, აგრეთვე მილების, ელექტრონის კეთილდების და პატარა ქარხნების მთელმა რიგმა დანიდოვკის უბანში მუშაობა მოსპეს. გაფიცულ მუშების რიცხვი 10,000 მდგა.

ვილნო, 11 იანვარი. პეტერბურგელ მუშების არეულობას ადგურმა მუშებმაც მიბაძეს მეტ ნაწილათ ზეთდების მუშები გაიფიცენ. არავითარი გამორჩეული მოთხოვნილება არ წარმოუდგენიათ და შეიდობიანათ არიან. ქუჩებში დიდი მოძრაობაა. წესიერება ჯერ-ჯერობით არსად არ დარღვეულა.

რეველი, 12 იანვარი. მუშათა გაფიცვა დაიწყო. ალკეთეს მუშაობა რკინის გზის უფლის სახელოსნოებმა. უფლანი მეშვიდობიანათ არიან.

4 იანვარს ქალაქ კიევში მოხდა კრიმინალისტთა საერთაშორისო კავშირის სექციის მესამე კრება კრებამ განიხილა სხვადასხვა იურიდიული საკითხები. სხვათა შორის მოისმენილ იქმნა ტიუტრიუმოვის მოხსენება ხალხისთვის იურადიული დახმარების გაწევის შესახებ. კრებამ მიიღო კისტიაკოვსკის გრეტელი რეზოლიუცია და უარეო ბრალ. თ. ტიმირიაზევისა... ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ იგი, რაგორც სექციის თავმჯდომარე, სურვილს გამოთქვამს, რომელიც კანონთა სასიდგურს გადაეცეს. ამას, ვისაც ეს დავალა თავმჯდომარემ ტესლენკომ, გამოაცხადა რომ უკანასკნელ არაფერ შეცდომა არა აქვს კრება დახურაო. ბრალ. თ. ტიმირიაზევი ტოვებს კრებას და გულ-მხურვალე მიდის. კრება გრძელდება გოლდენვეიზერის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა რა ტიუტრიუმოვის მოხსენება იურიდიული დახმარების შეხსებ, დაადგინა: ამ უსამართლო ბრალებში და თვითნებობაში, რომელშიაც ჩვენ გამოუფიათ, უკეთილ შეძლებელია კეთმა რაიმე დახმარება გაუწიოს მცხოვრებლებს, პოლიტიკური და იურიდიული ცხოვრების ნორმალური მოწყობა შეიძლება მხოლოთ მაშინ, როდესაც რუსეთში დაკანონდება ბირობების, აზრის, სიტყვის, ბეჭდის, სირწმუნოების, კრების და კავშირების თავისუფლება და კანონის წინაშე სიზოგადოების ყველა ნაწილის თანასწორობა. კრება იმ აზრისაა, რომ ამ რეფორმების განხორციელება დღევანდელ ბიურიკრატიულ წეს-წყობილებაში შეუძლებელია... კრება გადაიდო სალამოს 8 საათისთვის. ჯერ არ დაშლილიო კრება, რომ მოვიდა პოლიციმეისტერი და მოითხა გენერალ-გუბერნატორის ბრძანება, რომლის ძალით კრება დაიხურა...

უცხოეთის ქრონიკა

გერმანია. რუსის მიდამოებში, ქვა-ნახშირის მალაროს მუშათა გაფიცვა დაიწყო, რამაც გერმანიას საგარეო პოლიტიკა დროებით დააეიწყა. 1889 წელს აქეთ, ამ მალაროებში მნიშვნელოვანი გაფიცვა ადარ მომხდარა. 1889 წლის საშინელი სისხლის ღვრა ბერლინის „სამშვიდობო ხელშეკრულობით" დასრულდა, რომელმაც მუშათა მოთხოვნილების ზოგიერთი აუცილებელი მიხლები მიიღო. მას შემდეგ მუშათა მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა და დღევანდელ გაფიცვასაც ამ უსამართლო პირობებში აქვს სათავე. მალაროების პატრონები და ხელმძღვანელები თითქო განზრახ ამწვავებდენ მუშათა უფლებების შეკვეცითა და შემცირებით. დღევანდელი გაფიცვა დორტმუნდსა და ესსენში დაიწყო ქვა-ნახშირის მალაროს მუშებისაგან. მიუხედავათ მუშათა წინამძღოლების რჩევის, რომელნიც საზარალოთ თვლიდენ ახლანდელ გაფიცვას, მუშებმა მაინც აღკვეთეს მუშაობა და გაფიცვა გამოაცხადეს. პირველ ხანებში სამოცდა ათი ათასმა მუშამ გაიანება მუშაობას თავი, მიგრამ მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება.

როგორც უკანასკნელი ტელეგრამებიდან ჩანს გერმანიის მუშათა გაფიცვა არამც თუ შეასუსტ მალაროს პატრონთა მუქარამ, პირიქით საოცრათ გააძლიერა და ამ ჟამათ ორასათი-ათასზე მეტი კაცი თხოულობს ყურადღება მიექცეს იმ უსამართლო პირობებს, რომლებიც მათთვის მატაროების პატრონთ შეუქმნიათ.

საფრანგეთი. საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში მეტათ ღირს მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. სამსახურიდან გადადგა კომბის სამინისტრო. ვინც ჟურნალ.გაზეთებს თვალყურს ადევნებდა, უთუოთ ეცოდინება რა რკინის ხასიათისა და მოუდრეკელი ენერგიის პატრონი მოღვაწე იყო კომბი. ეხსომება როგორი თავ-ზარი დასცა კომბის პოლიტიკამ კლერიკალებსა და ნაციონალისტებს, ეხსომება კონგრეგაციების დახურვის ამბები, რომის პაპთან ყოველივე კავშირის გაწყვეტა და სხ. კომბის მოსისხლე მტრები და რესპუბლიკის ორგულნი: კლერიკალ-ნაციონალისტები შეერთდენ, ყოველივე ღონე იღონეს ღა ვითომ მიაღწიეს საწადელს, მაგრამ სცდებიან: კომბის დაწყებული საქმე შუა გზაზე ვერ შეჩერდება და მით უმეტეს უკან ველარ დაიწევს. ტყუილია კლერიკალ-ნაციონალისტების მეჯლისი, მათი დღე დათვლილია.

გრიგალას სიმღერა

(მ. გორკისა).

ჭაფ მორეულსა ზღვის ზედა პირზე მძლავრათ დაბერა ქარმა-გრიგალმა. ცა შეიქმუხნა... მოსკდა ღრუბლები, ჩამოაბნელა მთლათ არე-მარე. ცის და ზღვის შუა, ვითარცა ელვა, ლალათ, უშიშრათ, დაქრის, ნავარდობს ქარიშხალისა მახარობელი, მარდი გრიგალა! ხან ფრთით ეხება იგი ზღვის ტალღას, ხან ისარივით ის ავარდება მაღლა, ღრუბლებში, მამაცათ ყივის და ამ ყივილში ღრუბლებს მოესმით ხმა სიხარულის, ხმა იმედისა მომავლისადმი... ამ ყივილშია გამოიხატვის მამაც ფრინველის სიხარული და აღტაცება, წყურვილი ბრძოლის.

ტიფნი შეშფოთდენ, კვნესენ, დაძრწიან ზღვის ზედა-პირზე შეშინებულნი და მზათ არიან გადაიმალონ, ჩაძვრენ ზღვის ძირში, ოღონდ თვის შიში და შეძრწუნება არ დაანახონ ამდგარ ქარიშხალს.

კვნესენ, შფოთავენ ტყისა ქათმები,—ამ მშიშარ ფრინველებს ნეტარი ბრძოლის არ აქვთ შეგნება.. ჩასუქებულმა, მშიშარა იხვმაც ძლივს შეაფარა თავი კლდის ნაპრალს... მხოლოთ ამაყი იგი გრიგალა დაქრის თამამათ, თავს დასტრიალებს ზღვას აღშფოთებულს, ჭაღარა-შერთულს. თანდათან იწევს შავი ღრუბელი, ზღვას ეფარება... ზღვა შფოთავს, ღელავს... აგორებული მისი ტალღები ღრუბლებს წვდებიან, ქუხილს ელიან... დასჭექ-დაქუხა... კვნესენ მრისხანეთ ზღვისა ტალღები, სასტიკ ქარიშხალს ედავებიან... აგერ დახვია ნიავმა ხელი ტალღათა კრებას, რაღაც სიბრაზით ამართულ სალ კლდეს მთელი ძალ-ღონით ის მიანარცხა, უზარმაზარი ზღვისა ტალღები პატარ-პატარა წინწკლებათ და მტვრათ გაადააქცია...

გრიგალა ყივის, ჰაერში დაქრის, ვითარცა ელვა... როგორც ისარი აპობს შავ ღრუბლებს, თვის მძლავრი ფრთებით ტალღებს ხდის ქაფსა.

დაქრის, დაყივის, როგორც დემონი, შავი დემონი და ხან ცრემლს აფრქვევს, ხან კი იცინის... დასცინის ღრუბლებს, ხოლო ცრემლს აფრქვევს სიხარულისგან... ჰექა-ქუხილის მრისხანებაში დიდი ხანია ფრინველს მოესმის დაქანცულობა! სწამს, რომ მზის სხივებს ვერ შეაჩერებს შავი ღრუბელი... ვერ შეაჩერებს!!.

ქარი გრიალებს... ცა ჰექს, ქუხს, გრგვინავს, ცვივა ზეციდან ცეცხლის ისრები...

ქარიშხალია!.. მალე ადგება აწ ქარიშხალი!!.

აგერ შეხედეთ, შავ ღრუბელთ შორის ელვა-ჰექაში უშიშრათ დაქრის, თავს დასტრიალებს ზღვას აღშფოთებულს და შეუპოვრათ ყივის გრიგალა, ქარიშხალისა მახარობელი:

„დე, იგრიალოს მედგრათ, მრისხანეთ აწ ქარიშხალმა!!."

გ. ჯაფარიძე.

ცხრა ძმანი

(ზღაპარი)

ორ ზღვას შუა, მთიან-გორიან ადგილებში, ერთი ძლიერი მებატონე ჩასახლებულიყო. იმის მიწა-წყალზე აურაცხელი ყმები და ხიზნები ცხოვრობდენ. მებატონე მთელ თავის დროს ჩხუბსა და ბრძოლაში ატარებდა, რითაც სახელოვანი რაინდის სახელი მოიპოვა ახლო-მახლო მეზობლებში. მაგრამ აუტანელმა ბრძოლამ ჯანი წაართო თავ-განწირულ რაინდს, უდროოთ მოახუცა და დააუძლურა.

ამ სიბერის ჟამს მოხუც მებატონეს ვაჟი შეეძინა და მიყრუებული ოჯახი ცოტა არ იყოს წამოცოცხლდა. გასაოცარი ქვეყანაზე ძლიერ ბევრი რამ ხდება ადამიანის შესახებ, უცხოვოსთ, თუ ეს ბავშვი არა ჩვეულებრივი გამოდგა. პირველი დღიდგანვე დაიწყო მან მწარე ცხოვრება-და მსჯელობა საოჯახო საქმეებზე. მაგრამ იმისი სიტყვა მამას არაფრათ ეჭაშნიკა მოხუცს ჰირივით ძულდა ყოველგვარი ურჩობა, ყოველგვარი წინააღმდეგობა და არ იცოდა რა მოეხერხებია ურჩი ბავშვისათვის, რომელიც საკვირველი გაბედულებით ამხილებდა ხოლმე მოხუცის ათასგვარ სიყალბისა და სისაძაგლეს. სიცოცხლით სამსე და გაბედული ჭაბუკი სრულიადაც არ შეუშინდა მოხუცის მუქარას; გულმოდგინეთ ქექდა მამის საქმეებს და საქვეყნოთ გამოქონდა. მას გაეგონა, როგორ თავისუფლათ, ბედნიერათ და სამართლიანათ ცხოვრობდნენ მათი ახლო მეზობლები; გაცნობოდა მათ ავსა და კარგს და გულით მოწადინებული იყო მამის ოჯახიდანაც ამოეფხვრა უსამართლობა და სიბინძურე.

მაგრამ რასაკვირველია მოხუცი რაინდი, წინააღუდგებოდა შვილის ამგვარ საქციელს. მას ძვალსა და რბილში გამჯდარი ქონდა წინაპართაგან ნაანდერძევი ცრუ-თავმოყვარეობა და განა შეიძლებოდა შვილის მოქმედებისათვის გულგრილათ ეცქირა!

— ეს არ შეეფერება, შვილო, ჩემს დროებას! ეუბნებოდა ის შვილს. ხომ ხედავ, ამ დროული კაცი მოვყრილვარ და ამაებისთვის ყური არ მომიკრავს. ნუ, გენაცვალოს მამა, ნუ მლანძღავ ქვეყანაში, ნუ მჭრი თავს ტოლ-ამხანაგებში!. ნუ მირცხვენ დიდებულ სახელს, სახელოვან წარსულს. მაგრამ ურჩი შვილი მაინც თავისას შვებოდა. ის თავისი ოჯახის დამხობას შინაური სიყალბის ჩაფუჩეჩებაში ხედავდა, იმის ზარალს იმისსავე ნაკლის დამალვაში ეძებდა.

გულ-გატეხილი მამა მუხლ-მოდრეკით შეევედრა ღმერთს, რომ ერთი შვილი კიდევ მიეცა მისთვის.

ღმერთმა შეისმინა მოხუცის ვედრება და ეშვა მეორე ვაჟი, რომელსაც, როგორც თავისი ოჯახის დამცველს, თავისი საკუთარი სახელი დაარქვა, ახალშობილი ოჯახის დამცველი შვილი მამამ მასწავლებლათ მიუჩინა თავის პირმშოს, მაგრამ მათი შეთანხმება ყოვლად ჭოუხერხებელი დარჩა.

— ეხ, დროებავ, დროებავ! ყველაფერი შენს გემოზე გინდა მოეწყოს! არა ძვირფასო ძმაო! შენ არ იცი რამდენ ტანჯვას აყენებ შენ საბრალო მოხუც მამას; რა ზარალი მოგაქვს ჩვენი ოჯახისათვის! ეუბნებოდა უმცროსი ძმა უფროსს. როგორ ვერ მიმხვდარხარ, რომ ჩვენი მოვალეობა, მარტო ჩვენი ოჯახის კეთილდღეობაზე ფიქრია. რა საჭიროა გადავუშალოთ მტრებს ჩვენი სისუსტის საბუთები?!

რა საჭიროა დავანახოთ ჩვენს ორგულებს ჩვენი სისუსტე ჩვენი ჰოუმზადებლობა, ჩვენი არაერთობა! დეე იყოს ყოველი ჩვენი ცოდვა ჩვენ შორის, ჩვენ ოჯახშიევე! ვიცხოვროთ ძმურათ, მამაშვილურათ, რომ მტერსაც კი შეშურდეს ჩვენი გაწყობილება. დავაარსოთ ბანკები, შევისწავლოთ მეურნეობა, ავაყვავოთ მამულ-დედული და ამით ავადგინოთ ჩვენი სახელი, ჩვენი ძველი ოჯახი.

უფროსმა ძმამ გაუწოდა მეგობრული ხელი, მაგრამ უცებ ისევ თვალწინ წარმოუდგა ოჯახის საშიშარი მდგომარეობა, იმისი სამწუხარო მომავალი, თუ ის ამგვარ მდგომარეობაში დარჩებოდა; წარმოუდგა ყოველივე ეს და გაწვდილი ხელი ისევ უკან წამოიღო.

— არა, ძვირფასო ძმაო, შენი რჩევა არ შეეფერება დროებას. ის სრულიად ეწინააღმდეგება ჩემ რწმენას და შეხედულებას, ჩემ გაბედულებას და სიმამაცეს. არ შემიძლია შენ გზაზე ვიარო! არა და არა.

ამით გაწყდა იმათი მეგობრობა. მაგრამ ამ ხანებში მოხუცს ორი შვილი შეეძინა. ორივეს თაობიდინვე ეტყობო-

დათ გონებრივი სისუსტე და მამამ სრული თავისუფლება მიცა, რა ხელობაც სურდათ იმას დადგომოდენ.

უფროსი მათგანი სულის საქმეს დაადგა, რომ საიქიოს ნეტარება მოეპოებია. ამ განზრახვით ბავშობიდანვე ბერათ აღიკვეცა. შეიმოსა ‘მავი ძაძებით, მონახა განმარტოებული სავანე, მოწყვეტილი ყოველსა ამა ქვეყნიურსა და დაესახლა მუნ, რომ ლოცვითა და ღაღადითა მოუპოვოს შვება სულთა ცოდვილთასა. როგორც მწყემსი კეთილი იღწვის თვისთა ცხოვართათვის ბნელსა მას გამოქვაბულსა მჯდომარე. და გადებს ხმითა მწარითა: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და საკრთხი ქვეყანასა ზედა“. ხოლო ცხოვარნი არღა უსმენენ ვედრებასა მისსა.

მეოთხე შვილი მოხუცი რაინდისა ოჯახის გაუმჯობესობას შეუდგა. ის დარწმუნდა, რომ დაცემულ ოჯახს მხოლოთ ბარი და სახნისი თუ იხსნიდა. გადაწყვიტა აღჭურვილიყო სამეურნეო ცოდნით, გასულიყო სოფლად და აეყვავებია გავერანებული მიდამო. თავ-განწირულათ ეკვეთა ის ბაღებსა და ვენახებს, ტყესა და მინდვრებს: ბევრი იწვალა, ბევრი ივაგლახა და დარწმუნდა მხოლოთ თავის სისუსტეში. ღონემიხდილი სადღაც გადაიხვეწა და არც იციან სად განუტევა სული, სად დაიმარხა იმისი მაშვრალი ძვლები. იმისი უდროო სიკვდილი არც ერთ ძმას არ უგლოვია და ბერათ აღკვეცილს ერთხელაც არ უთქვამს „მართალთა თანა“ იმისი სულისათვის.

მეურნე შვილზე უწინ დაკარგა მოხუცმა თავისი უფროსი ვაჟი. გარდაიცვალა ის ბრძოლის ველზე ჯან-ღონით აღსავსე და მისი სიკვდილი იყო გამარჯვება, სრული გაბატონება მეორე შვილისა. მთელ ოჯახს ის დაეპატრონა და თავისი გავლენა საშინლათ გააფართოვა. დანარჩენი ძმები ხმის ამოღებას ვეღარ ბედავდენ. მოხუცი ძლიერ ემადლიერებოდა მას მაგრამ უფროსი შვილის დაკარგვა მაინც ვერ ამოეგლიჯა გულიდან.

მამის მწუხარებას ბოლო მოუღო ახალი წევრის შემოტებამ. მეხუთე ვაჟი შვენიერი ბავშვი გამოდგა... ისეთი ფუნთუშა და ჩასუქებული იყო, ისეთი მრგვალი პირი-სახე ჰქონდა, ისეთი წითელი ჩამოტომრილი ლოყები და ისეთი დიდრონი თვალები, რომ უნებლიეთ იმედს გაგიღვიძებდა გულში. მოხუცი მამა სახე გაბრწყინებული შეეკქეროდა ახალ-შეძენილს და თავისი დიდებული მომავლის მოამბეთ სახავდა.

დროთა ვითარებამ სულ სხვა დაგვანახვა. ბავშვის გარეგნული სახე თურმე მტერს უკლავდა გულს, ხოლო შინაგანი ღირსება კი მოყვარეს. ორი წლის ცხოვრებამ საშინელი დაღი დაასვა იმის ნორჩ აგებულებას. ჩასუქებული და ფუნთუშა წინდის ჩხირივით ჩამოხმა, სახე დაუჭკნა და დაელარა, თვალები დაუბრმავდა და კბილები დაუჩლუნგდა. ერთი სიტყვით ყოველი იმედი გაუცრუვდა საბრალო მშობელს და ნათლათ ხედავდა, რომ მომავლის მოამბესაგან მხოლოთ აჩრდილი დარჩენილიყო.

დაღონდა მოხუცი მამა. ბევრი რამ გამოცადა ამ ბოლო ხანებში! ბევრი ახალი გამოცდილება შეიძინა; ბევრს ვინმეზე გაუტყდა გული და ბევრი ვინმე შეუყვარდა.

დაღონდა მოხუცი მამა, რადგან ცხადათ ხედავდა, რომ ვერცერთი შვილი ოჯახს რიგზე ვერ უვლიდა. ხედავდა რომ იმისი საყვარელი შვილი, იმისი ოჯახის იმედი მარტო ფულების ანგარიშს წაელო და ტკბილი ცხოვრებით გატაცებული თბილს ოთახში ჩაკეტილიყო, მაშინ როცა იმისი შინა-ყმები სიბნელესა და უვიცობაში იხრჩვებოდნენ. ხედავდა მოხუცი, რომ ბერათ გამდგარი შვილი თავის სენაკში ჩაკეტილიყო და გარეთ კი ღვთის სახელით შინა-ყმებს ტყავს აძრობდნენ. ხედავდა მოხუცი, თუ რამდენი იყო სათქმელი და იმისი მოამბე შვილი კი ენას ძლივს აბრუნებდა. ხედავდა-ძლივე ამას მოხუცი და გული უკვდებოდა, სული ეწაბლებოდა. თანაც მწარე ოხვრით იგონებდა თავის ბერწვილ შვილს; იგონებდა იმ ძვირფას დროებას, როცა იმისი უფროსი შვილი ისე თავგამოდებით იბრძოდა ოჯახის საერთო ბედნიერებისათვის.

დაღონდა მოხუცი და კვლავ შეევედრა უფალს, მიეცა მისთვის ერთი ხვირიანი შვილი, რომელსაც შეძლებოდა ოჯახისა და მამულის განახლება. უფალმა ისმინა მოხუცის ვედრება და ოჯახში ახალი წევრის ხმა გაისმა. საბრალო მამა სიხარულით ცას ეწია; ახალშობილი ძე მისი გაბედულობითა და პირუთვნელობით თითქმის უფროს შვილსაც ჰარბობდა. პირველი დღიდანვე ეტყობოდა სამაგალითო სისწორე, სიმკვირცხლე და მიუდგომლობა. ძმებს სრულიადაც არ ეჭაშნიკათ ამ ახირებული ბავშვის გაჩენა. გაბედული იერიშით მიესივნენ, რომ მიწასთან გაესწორებიათ და გაექროთ ის. ბავშვის მიუდგომელი და გაბედული მსჯელობა მამულისა და ოჯახის ღალატათ გამოაცხადეს, რომ ამ სამარცხვინო ხერხით მამისა და ყმების თვალში მისთვის სახელი გაეტეხათ, მაგრამ ყოველი ცდა ამაო დირჩა; ძმები დარწმუნდნენ ბავშვის სულიერ ძლიერებაში და შერცხვენილები უკუ ქცეულიქნენ. სამი წლის ჭაბუკმა ყოველი კავშირი გაწყვიტა თავის ძმებთან და თავისი საკუთარი გზა აირჩია.

— ძვირფასო მამავ! გამოუტყდა ერთხელ ჭაბუკი მშობელს: მე ვხედავ, რომ ჩემი ძმები ყოველ ღონეს ხმარობენ ჩემი თავი შეგავულონ. არავითარ საშვალებას არ ერიდებიან. ოღონდ შენ წინაშე პირ-შავათ გამომიყვანონ. მე ვიცი რაში მდგომარეობს ჩემი დანაშაული, ჩემი შეცდომა. მე, ძვირფასო მამილო, ნათლათ ვხედავ, რა საშიშარ მდგომარეობაში არის ჩავარდნილი ჩვენი ოჯახი; ვხედავ და გული მიკვდება, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ ვეძლევი. მე მწამს, რომ სნეულებას ექიმობა განკურნებს და კიდევაც ვცდილობ ჩემი ძალ-ღონის დაუზოგველათ. ჩემი ძმები ვერა ხედავენ, ან არ ამჩნევენ ჩვენ ნაკლულევანებას, ვერ ამხელენ თუ არ ამხელენ ჩვენ სისაძაგლეს. მე ვხედავ აუტანელ სიბნელეს ჩვენ ოჯახში; ვხედავ როგორი სულის შემხუთველი და გონების დამაბნელებელი უსამართლოებით იქცევიან ჩემი ძმები; ვხედავ, როგორ გაჰივრებულ ცგოვრებას ეწევიან ჩვენი ყმები; ვხედავ ამას ყოველივეს და ათას ამგვარებს; ვხედავ და სისხლი მიშრება, აზრი მიბნელდება, გული მისკდება. მე არსაით თანაგრძნობის ხმა არ მესმის მხოლოთ მესმის უბრალო ცილის წამება ჩემი ძმებისა. ამის გამო, ძვირფასო მშობელო, იძულებული ვარ გავწყვიტო ყოველივე კავშირი ჩემ ძმებთან. ვადგები ჩემ საკუთარ გზას და ცოკხალიც ნუ გენახო, თუ ჩემი ნათელი კვალი არ დავტოვო ჩვენ ბნელსა ვერან მამულში. დეე მლანძღონ და მაგინონ! დეე ცილი დამწამონ და მამულის მოღალატე მიწოდონ! დეე დამტანჯონ სიცივითა და შიმშილით! მე მაინც ჩემ გზაზე ვივლი, მე მაინც არ გადავუხვევ ჩემ კვალს.

მართლაც სამი წლის ბავში ხრულიად ჩამოშორდა თავის ძმებს და საკუთარი გზით იწყო სიარული. ის შედიოდა მუშების ქოხმახებსა და სარდაფებში, გლეხების ჯარგვლებსა და ფაცხებში, ყველგან შექონდა მაცოცხლებელი იმედი ბწყინვალე მომავლისა; ყველგან თესდა სიმართლესა და შეშმარიტებას, აღვიძებდა თავისუფლების გრძნობას. ეხსნიდა შინა ყმებს ცხოვრების ავსა და კარგს და იწვევდა მათ სიბნელესთან საბრძოლველათ. დაუღალავი შრომითა და თავგანწირული ბრძოლით გაიკაფა მან გზა ნათელი ბნელ ცხოვრებაში; გაუქრობელი იმედი აანთო მან ტანჯულთა გულში და უკვდავი თესლი ჩათესა იმათ გონებაში.

ცხოვრება უკუღმართია. სიბნელე და სიმართლე მუდამ ებრძვიან ერთმანეთს. ხოლო ბრძოლაში ის იმარჯვებს, ვინც ძლიერია. ნათელი კვალი უმცროსი ძმისა ბწყინვალე ზოლივით გამოკრთოდა ჩვენი ბნელი ცხოვრების მკერდზე. მაგრამ სიბნელე მაინც ძლიერი გამოდგა. რას გახდება ერთი ძმა-სიმართლის შემოქმედი, როდესაც სხვა ყველა სიბნელეს ემსახურება?! ის მხოლოთ სახელოვანათ მოკვდება. ჰაბუკიც მოკვდა; მაგრამ მოკვდა ბრძოლის ველზე; მოკვდა არა თავისი დღით, არამედ ნაძალადევი სიკვდილით. როგორც მავნე წევრი ოჯახისა, ის ჩამოახრჩვეს სიბნელის მოყვარულთა, ჩამოახრჩვეს თავისი ძმების თვალ წინ. ძმები კი მწარე ცრემლით ტიროდენ ძვირფასი ძმის დაკარგვას... მაგრამ არა.. ღაცრავათ... ძმები მხოლოთ ფარულათ იღიმებოდენ, ცრემლი-კი ერთი წვეთიც არ დაუხარჯავთ.

ის აწამეს მაგრამ იმისი ნათელი კვალი დღესაც შეენივრათ გამოჰკრთის მოხუცებულის ბნელ სამფლებელოდან, რომელსაც ამ ხანებში მეშვიდე ვაჟი შეეძინა.

პაწია ბიჭუნა მაშინვე ქუჩებს ეცა, მაშინვე დუქნების წინ დაიწყო ცუნცული, რომ სხვა და სხვა კომერციული ცნობები მოეკრიფა და საზოგადოებაში გაევრცელებია. მას ბავშობიდანვე ეტყობოდა ოქროსაკენ მიდრეკილება, მაგრამ ჯერ კიდევ პრიკაშჩიკი იყო და მწარე ცხოვრებას ეწეოდა. ათასი გასაჭირი გამოცადა და ათასჯერ გაკოტრებას გადარჩა. ბოლოს ერთი მოხერხებული ოპერაციით დიდი სიმდიდრე შეიძინა და განცხრომით ცხოვრებას შეუდგა. თავისი დარბაზი მდიდრულათ მოართო, ძვირფასი სურათებით შეამკო. ავათმყოფი ძმა თავისთან გადაიყვანა და დღევანდლამდე სამოწყალოთ არჩენს. თვეში თითოჯერ აგზავნის თავის საქმეებზე ამბის წამღებათ, მაგრამ საბრალო უთუოთ ამ შრომასაც ვერ გაუძლებს.

მეშვიდე წელიწადია, რაც ეს ვაჟი ცხოვრობს და ამ მოკლე დროში შეენივრათ მოაწყო თავისი კომერციული საქმეები, და მოხუც მამას სრული იმედი აქვს, რომ ეს ერთი შვილი ნამდვილი ეროვნული კაპიტალისტი დადგება. ვნახოთ!

მერვე შვილი მოხუცისა რაღაც თავისებური ბავში გამოდგა. გადაწყვიტა: რაც უნდა დამემართოს, ჩვენი ოჯახის სიძველენი უნდა გამოვიკვლიოო. ვიმგზავრებ სოფლიდან სოფლათ, ქალაქიდან-ქალაქათ, რომ ავსწეროო ყოველი ნანგრევი ძველი ციხისა, შევისწავლო ნანგრევები ძველი ეკლესიებისა; უნდა აღვადგინო მათი ძველი სახე და მით დავუმტკიცო ურწმუნო მეზობლებს ჩვენი წარსული ძლიერება და განათლებაო. მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, ეშმაკი მუდამ თან დასდევს ადამიანს! ერთი ძველი ნანგრევის დათვალიერების დროს ფეხი გაუსხლტა, გადმოვარდა და თეძო ამოიგდო. მას შემდეგ დღევანდლამდე ასკინკილათი საწყლათ დაჩანჩალებდა. დღეს ფეხი გაუსწორეს, მაგრამ პირობა ჩამოართვეს ნანგრევებში ძრომას თავი დაანებოს, რომ თავისი წამებული ძმის კვალს გაყვეს და თითონვე ხელი შეუწყოს იმ ძველი შენობების ნანგრევათ გადაქცევას, რომელში ცხოვრებაც მთელი ოჯახისთვის საშიში და აუტანელია. ვნახოთ, რას იზამს; ვნახოთ რა ნაყოფს გამოიღებს იმისი ახალი გზაზე მოგზაურობა!.. ვნახოთ როგორ შეეთვისება იმათ, ვისთვისაც გასწირა თავი სახელოვანმა ძმამ; ვნახოთ როგორ ემსახურება იმ წმიდა იზრებს, რომელიც წითელი ასოებით ეწერა წამებული ძმის დროშაზე. ვნახოთ როგორ კავშირს დაიჭერს ის თავის ძმებთან, რომლებთანაც მუდამ უთანხმოთ ცხოვრობდა წამებული უფროსი ძმა. ოჯახის სახე კვლავ შეიცვალა. მამას ახალი შვილი შეეძინა, რომელიც მუდამ ბავშვათ უნდა დარჩეს. მეორე შვილმა მდიდარი ქალი შეირთო და თავისს ცხოვრებას ახალ წესზე უპირებს მოწყობას. ეს უკანასკნელი, ამ ბოლო ხანებში, ბერათ აპირობდა აღკვეცას, მაგრამ ბერს ცოლის ნება ხომ არა აქვს. მოხუცმა უკუ აგდო თავისი კაბა-ანაფორა, შეიკვეცა საარჭიელოთ მოშვებული წვერები და ვიტრინ ახალ გაზდობას აპირებს.

ოჯახში ახალი სხივი შემოიჭრა; ახალმა სინათლემ შემოაშუქა და ცხოვრებას სახე შეუცვალა. მოხუცი მამაც წამოცოცხლდა, სახე გაუნათლდა და ჯერ არ იცის რომელ შვილს დაუძადლოს, არ იცის რომელ შვილს მიუძღვის ღვაწლი ოჯახის წამოცოცხლებაში. ცოცხლები თავის თავს ასახელებენ ოჯახის ბურჯებათ, ხოლო წამებული მეორეთ მოსვლის დროს თუ აღიმაღლებს ხმას.

დღეს მეც თქვენი ძმა ვარ და უმორჩილესათ გთხოვთ, სანამ ტრაბახს დაიწყებდეთ, უკან მიიხედოთ. თუ ჩანს სადმე თქვენი მოქმედების ღირსეული ნიშანი, შეგიძლიათ იამაყოთ, მაგრამ თქვენი წარსული ბნელია, იქ მხოლოთ ერთად ერთი ნათელი კვალი მოჩანს და ოჯახის ბედნიერებაც იქიდან მოდის. ვისი კვალია ის? შეგრცხვათ!.. მაშ გაჩუმდით.

ეშმაკი.

გომელის პროცესის გამო.

იმ საზოგადოებაში, სადაც ყველაფერი ბიუროკრატიის თვით-ნებობაზეა დამყარებული, სადაც კანონი და სამართალი მხოლოთ ცარიელი სიტყვაა და სხვა არაფერი, ძნელია, მეტათ ძნელია ცხოვრება... აი სწორეთ ამ სიძნელეს და აუტანელ მდგომარეობას გრძნობს საუკეთესო ნაწილი რუსეთის საზოგადოებისა და ხმა-მაღლა ლაპარაკობს დღევანდელი ცხოვრების პირობების შეცვლაზე. მართლაც აუტანელია დღეს ჩვენი მდგომარეობა. კანონი დაუმორჩილეს ადმინისტრაციას, რომელიც თვითნებით განაგებს მთელ ჩვენ ცხოვრებას. კანონთა თექვსმეტი ტომი არსებობს რუსეთის იმპერიაში, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენ მოთხოვნილებას უფრო ხშირათ ვერ ვამყარებთ ამ კანონებზე... სასამართლო, რომელსაც ყველაზე უფრო მაღლა უნდა ეჭიროს სიმართლისა და კანონიერების დროშა, ისიც კი დამორჩილებია დღეს ბიუროკრატიულ პრინციპს და ყველაზე უფრო ის თურგნის და თელავს კანონს და სიმართლეს. ეს ცხადათ დაგვიმტკიცა ჩვენ გომელის პროცესმა, სადაც სასამართლოს თამჯდომარის თვითნებობა საზღვარს გადაცდა. ამას წინეთ ქალ. გომელში ქრისტიანებმა ებრაელები აიკლეს. საზოგადოებაში ის აზრი დამკვიდრდა, რომ ეს აკლება თვით ადმინისტრაციამ გამოიწვია. ყოველი პირუთვნელი და სამართლიანი მოსამართლე იმას ეცდებოდა, რომ გამოეშკარავებია ეს საქმე, ამას მოითხოვდა კაკონიც, ეს იყო აუცილებლათ საჭირო საზოგადოებისთვის, რომლის დამცველ-პატრონათ ეს ამკლები ადმინისტრაცია ითვლება... საქმე ამ აკლების შესახებ ერთი თვის წინეთ ირჩეოდა ქ. გომელში. სასამართლოს თავმჯდომარემ კოტლიარევსკიმ არა თუ არ ეცადა გამოერკვია მიზეზი ამ საზარელი აკლებისა, არამედ ყოველ ღონისძიებას ხმარობდა თურმე, რომ ეს მიზეზი მიემალა. „საქმის გარჩევის დაწყებიდანვეო, აცხობს ერთი დამცველთაგანი, ვექილი მანდელშტამი, თავმჯდომარემ მიუდგომლობა ვერ გამოიჩინა, ის ჯავრობდა და მეტის-მეტათ ცხოვრობდა, იგი დასცინოდა იმ მოწმეებს, რომელთ ჩვენება მას არ მოსწონდა და იმ ზომამდე მივიდა, რომ ერთი მოწამე, გვარათ პლოტკინი, სასამართლოს დარბაზიდან გააყვანინა. თავმჯდომარე უშლიდა ვექილებს ისეთი კითხვის დაყენებას, რომელზედაც მოსალოდნელი იყო ებრაელებისათვის სასარგებლო პასუხი; როდესაც ვექილები მოითხოვდენ, რომ ამა თუ იმ მოწამის ჩვენება ოქმში

შეეტანათ, თავმჯდომარე ხელმეორეთ დაუწყებდა მოწამეს გამოკითხვას და როდესაც მოწამე წინანდელ ჩვენებაში რაიმე ებრაელთათვის არა სასარგებლო ჩვენებას შეიტანდა, მაშინ შეატანიებდა ოქმში ამ ჩვენებას... ერთი სიტყვით, ამბობს ბ-ნი მალდენშტამი, თავმჯდომარე მეტათ უზრდელათა და უპატივცემულოთ გვექცეოდა დამცველებსო: დაგვცინოდა, გვიყვიროდა და ყოველ წუთში გვიხირდებოდაო. „რა ნება აქვსო, განაგრძობს მანდელშტამი, ბ-ნ კოტლიარევსკის, რომელიც არ არის ცნობილი არც მეცნიერებაში, არც როგორც მოსამართლე, საცინლათ აიგდოს ის ვექილები, რომელთაც ვექილობაშიაც და მეცნიერებაშიც კარგი სახელი მოუხვეჭიათ. მაგრამ, ვინც ცოტათი მაინც იცის ჩვენი სასამართლოს მდგომარეობა, ის მიხვდება, რომ თავმჯდომარე ვერ გაბედავდა ყველა ამას, რომ ზევიდან მადლობას და ქებას არ გამოელოდეს, ამნაირ პირობებში კი კოტლიარევსკისთანა პირები საშიშიაო ..“ არაჩვეულებრივი სიმკაცრე გამოიჩინა თავმჯდომარემ, როდესაც ჩვენებას აძლევდა მოწამე შუსტოვი. ეს უკანასკნელი მუშაა, პოლიტიკური დანაშაულობისთვის დაპატიმრებული. როგორც მუშამ იმან კარგათ იცოდა, თუ როგორ მზადდებოდა ებრაელთა აკლების საქმე და კიდეც გამოააშკარავებდა ყველაფერს. მაგრამ დაიწყო თუ არა ლაპარაკი და შეეხო 29 აგვისტოს, რა დროდანაც მთელი ეს საქმე დაიწყო, თავმჯდომარემ გააჩერა და უბრძანა, რომ 29 აგვისტოს ამბებს არ შეხებოდა, ელაპარაკა მხოლოთ 1 ენკენისათვის ამბებზე. მოწამე უპასუხებს, რომ 29 აგვისტოს და 1 ენკენისთვის ამბები ისე არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი დანაწილება შეუძლებელიაო. თავმჯდომარის ბრძანებით ეს მოწამე სასამართლოს ღარბაზიდან გაყავთ. ამ შემთხვევაში მოსამართლემ დაარღვია სამართლის პრინციპი, გამოიჩინა მიდგომილება და თავის უფლებით არა კანონიერათ სარგებლობა. მართალია, რომ თავმჯდომარეს სასჯელთა წესდების 611 მუხლის ძალით მინიჭებული აქვს დიდი უფლებები, მაგრამ ამ უფლებას ზღუდავს იმავე წესდების მე-622 მუხლი, რომლის ძალით თავმჯდომარე ვალდებულია მისცეს ბრალდებულს თავის გასამართლებლათ ყოველგვარი საშუალება.

ასევე უკანონოთ მოიქცა თავმჯდომარე იმ შემთხვევაშიაც, როდესაც მან ვექილი სოკოლოვი გააძევა სასამართლოს დარბაზიდან მხოლოთ, იმისთვის, რომ მან კანონის ძალით, მოითხოვა მოწამე შუსტოვის სასამართლო დარბაზში დატოვება და მისთვის ჩვენების ჩამორთმევა.

სოკოლოვმა მიუთითა თავმჯდომარეს სასჯელთა წესდების მე-718 მუხლზე, რომლის ძალით მოწამემ უნდა თქვას ყველაფერი, რაც იცის საქმის შესახებ. სოკოლოვის გაძევების შემდეგ ყველა ვექილებმა დატოვეს სასამართლოს დარბაზი, რადგანაც იმ აუტანელ პირობებში, რა პირობებშიაც ისინი თავმჯდომარემ ჩააყენა, სასამართლოში დარჩენა შეუძლებელი იყო. „მთელ იმ დროს განმავლობაში, რომელიც ჩვენ აქ გავატარეთო, განაცხადა ვექილმა ვინერმა, არც ერთი ჩვენგანი არ მოპყრობია უპატივცემულოთ სასამართლოს პრინციპებს; ჩვენ ღრმათა გვწამს ეს პრინციპები, პატივსა ვცემთ კანონს და ვიცით მისი ძალა. ყოველ წუთში უკანონოთ ზღუდავენ ჩვენ უფლებას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ აქ ამ სასამართლოს დარბაზში არ თავდება რუსეთის სამართალიო, არის კიდევ სასამართლო, რომელსაც ეკუთვნის უკანასკნელი სიტყვა... ნაფიც ვექილ სოკოლოვთან ერთათ ჩვენც შეურაცყოფილნი ვართ...“

ამნაირათ დასთურგნა თავმჯდომარემ სამართალი, მან გააძევა სასამართლოს დარბაზიდან მისთვის არა სასიამოვნო მოწამე და დამცველები და თავის მოქმედებით ერთხელ კიდევ დაანახვა საზოგადოებას ეხლანდელი კანონდებლობის ძირითადი ცვლილების საჭიროება.

ბ. ჯ—ძე.

ბ. გოგიჩაიშვილის საბოლემიკო ნიმუშები.

ბ. გოგიჩაიშვილი ხელახლა შეუდგა „საკამათო საკითხების“ გარკვევას. „ცნობის ფურცლის“ №№-2682, 2696 და 2702 №№-ში სამი ფელეტონით გამოილაშქრა ჩვენს წინააღმდეგ. დაიწყო დარიგებით: „არ ვარგა ყველაფერში სხვისი წახედულობა და ამა თუ იმ გამოჩენილ კაცის აზრის შეუგნებლათ და უკრიტიკოთ განმეორება,“ მეცნიერულის სიდინჯით გვაუწყა მან; თანვე დაგვეჭადა „თუ ჩვენში არა სადმე უცხოეთში მაინც შევძლებ წულუკაძეზე უფრო დიდ სალიტერატურო სახელის გამონახვასო“ და შემდეგ შეუდგა ვითომდა „კამათს“. ჩვენ სწორეთ მხოლოთ ამ „კამათზე“ შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, რადგან ყველასათვის ცხადია, რომ „სხვისი აზრის შეუგნებლათ და უკრიტიკოთ განმეორება არ ვარგა და ამაზე ხანგრძლივი ლაპარაკი მხოლოთ უმიზნოთ მოლაყბეს თუ შეუძლია. რაც შეეხება მის ქადილს „უცხოეთში მაინც შევძლებ წულუკაძეზე უფრო დიდ სალიტერატურო სახელის გამონახვასო“, ისეთ ბავშურ მჯ̌ქარათ მეჩვენება, რომ სწორე გითხრათ თვით ბ. გოგიჩაიშვილიდანაც კი არ მოველოდი, თუმცა მისი მსჯელობის სიღრმისა და სერიოზობის იმედი არასოდეს არ მქონია. მაგონდება მოსამზადებელი კლასის პაწია მოწაფე, რომელიც ამხანაგს მიდგომია და აჯავრებს: „მე შენზე უკეთ ვისწავლი, შენზე უფრო კარგ „ატმეტკებს“ მივიღებ, მე გადავალ პირველ კლასში. შენ კი ღარჩები, მე „უროკი“ ვიცი, შენ არა! ჩვენი, უკაცრავათ მოხსენებაა, პუბლიცისტი გოგიჩაიშვილიც ასე იქცევა: მე უცხოეთში სალიტერატურო სახელს მოვიპოვებ, შენ ვერა, მე ზანგების ამბები ვიცი, შენ არა მე კაუტსკი წამიკითხავს და გამიგია, შენ კი ვერა. აბა რა საკადრისია, ბატონო ფილოსოფიის დოქტორო, მეცნიერის ბავშობა! გონება თუ არა გიშლისთ, ხნოვანებამ მაინც შეგაჩეროსთ. მე თანახმა ვარ მივაფუჩეჩო თქვენი სტატიის ასეთი „უხერხული“ ადგილები და პირდაპირ „კამათს“ შევუდგე. ეს თქვენი „სალიტერატურო სახელის“ მოპოვებისათვის არის საჭირო და მეც ხელს შეგიწყობთ.

ბ. გოგიჩაიშვილი კამათობს. რაზედ? მართალია თუ არა წულუკიძის აზრი, რომ „მეჭარხნეების ცხოვრების მოგვარება მათვე უნდა დაუთმოთ, რადგან „მშრომელი ხალხის“ ინტერესების ნამდვილი დამცველი მისი მოპირდაპირის საქმეებს ვერ გააკეთებს, მას ამისთვის არა სცალიან, ან სად აქვს საზღვარი ამ ზრუნვას, სად უნდა დამთავრდეს ვაჭარ-მრეწველთათვის ზრუნვა და როდის უნდა შეუდგე შენი ნამდვილი იდეალების სამსახურს იქ, სადაც ვაჭრობა მრეწველობა აღორძინებულია და ბურჟუაზია ფეხს იკიდებს, მეორე საზოგადოებრივი კლასი აუცილებლათ არსებობს და მას სწორეთ ამ პირველ ხანაში უფრო ეჭირვება „ინტელიგენტური“ ძალ-ღონე!.. არა! არ არის მართალიო, უპასუხებს ბ. გოგიჩაიშვილი.

„სულ ერთია ქართველი მუშისათვის კაპიტალისტები ქართველები იქნებიან თუ უცხოელები? არა, არ არის სულ ერთიო, მწყრალათ გვასწავლის ჩვენი მეცნიერი. როგორ არღვევს ჩვენს აზრს, როგორ ამტკიცებს თავისას ჩვენი „პუბლიცისტი“? ვნახოთ.

„არიან ისეთი პირნი, რომელნიც ფიქრობენ, რომ მშრომელი ხალხის მდგომარეობა ბურჟუაზიულ ხანაში წინანდელზე უარესი და აუტანელი შეიქნაო. ამ გვარ აზრის მაღიარებელია წულუკიძეც. თაყის წიგნში იგი წერს: „ბურჟუაზია იბრძოდა ფეოდალურ პრივილეგიების დასამხობათ, ბურჟუაზია დაეძებდა თავისუფალ მუშა ხელს, ბურჟუაზიას უნდოდა ვაჭრობის სრული თავისუფლება; თავისუფლების ის იმიტომ ჭედდა, რომ ქარხნები აემუშავებინა და დამტვრეული ფეოდალიზმის

ბორკილიდან ფეხ-ამოდგმული უარეს ბორკილებს აბამს სხვებს. ეს „სხვები“ იყო სწორეთ ის, ვინც ეს ბორკილები დაამსხვრევინა, ვისაც „ძმობის, ერთობის და თავისუფლების ქადაგით თან მიითრევდა“... „წულიკიძის აზრით ბურჟუაზია თურმე ფეოდალურზე უარესს ბორკილებს აბამს მშრომელ ხალხსო. ეს აღმოჩენა ჩვენ მწერლობაში სავსებით ამ ავტორს უნდა დავულოცოთ“... ჩვენ არ ვიცით ბ. გოგიჩაიშვილი განგებ ამახინჯებს მოპირდაპირის აზრს, თუ შეცდომით. პირველ შემთხვევაში მის საქციელის არა კეთილ სინდისიერი უნდა ვუწოდოთ, მეორეში, მისი კრიტიკა უნაყოფო ლაყბობათ უნდა ჩავთვალოთ. აზრის გადამახინჯება კი ფაქტია საბუთიც ზემო ამონაწერია. ჩვენ ვამბობდით: „დამტვრეული ფეოდალიზმის ბორკილიდან ფეხ ამოდგმული (ბურჟუაზია) უარეს ბორკილებს აბამს სხვებს (ე. ი. მშრომელი ხალხს)“. რომელ ბორკილებზე უარეს ბორკილებს აბამს ბურჟუაზია მშრომელ ხალხს? იმ ბორკილებზე უარესს, რომლიდანაც თვითონ ფეხი ამოიდგა, ე. ი. მშრომელი ხალხის დღევანდელი ბორკილები უფრო მძიმეა, ვიდრე ის, რომელიც ფეოდალიზმის დროს ბურჟუაზიას ედა. როგორ დაასკვნა ბ. გოგიჩაიშვილმა, რომ ჩვენი აზრით ბურჟუაზია ფეოდალურზე უარეს ბორკილებს აბამს მშრომელ ხალხს? ცხადია როგორ. ჩვენი სიტყვების გადამახინჯებით. მას უნდოდა მანიფესტიდან მოგრძო ციტატა მოეყვანა, რათა მკითხველებისთვის ეთქვა: აი დახეთ: მეც მარქსისტი ვარ, მეც მრწამს „კლასიური ბრძოლა, ხოლო თვით კლასში კლასიური ერთობა და სოლიდარიბა“, მრწამს ის „იდეალი, რომელსაც კულტუუულ ხალხებში მშრომელი ხალხის იდეოლოგები ემსახურებიან“. ყველაფერი მე მრწამს, მხოლოთ წულუკიძეს და მის ამხანაგებს ვერ გაუგიათ ვერც მანიფესტი და ვერც ჩემი რწმენა. დასამტკიცებლათ მოყავს „მანიფესტიდან“ ერთი გრძელი ციტატა, საიდანაც ჩანს, რომ ავტორებს ბურჟუაზია დიდ პროგრესიულ ძალათ მიუჩნევიათ და ამახინჯებს ჩემს სიტყვებს იმგვარათ, რომ აზრს ეწინააღმდეგება. ბ. გოგიჩაიშვილს დავიწყებია ორი რამ: ერთი, რაც თვითონ გვაუწყა: „არ ვარგა გამოჩენილ კაცების შეუგნებლათ და უკრიტიკოთ განცვორება“ და მეორე ხალხური ანდაზა: „სიცრუეს მოკლე ფეხები აბიაო“. შეგნებულათ და უადგილოთ მოიყვანა მანიფესტის სიტყვები და თანვე მკითხველის მოტყუება მოინდომა. მაგრამ ბ. გოგიჩაიშვილი, როცა თავის სიტყვებით ალაპარაკდა, გადასცდა „მანიფესტის“ ავტორების მოძღვრებას და თავისი ნამდვილი სავანე მოიპოვა—ბურჟუაზიული აზროვნება. ცნობილია, რომ მანიფესტის ავტორების აზრით მუშათა კლასის მდგომარეობა შედარებით დღითი-დღე უარესდება. ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება, რომელიც ტეხნიკის განვითარებას იწვევს საქონლის გასაიაფებლათ, აუარებელ მუშა ხელს უსაქმოთ, მაშასადამე, უსახსროთ ტოვებს. მით ავითარებს მუშებს შორის კონკურენციას და შრომის პირობებს ათახსირებს. ხალხის უმრავლესობა დატაკდება, მაშინ როცა სიმდიდრე იზრდება პაწია ჯგუფის საგებებლათ; მრავლდება საერთოთ კულტურული მოთხოვნილებანი, ხოლო ხალხის უმრავლესობა მოკლებულია ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ საშუალებებს. „სოციალური სიღარიბე“ მატულობს, ე. ი. ხალხის უმრავლესობა ვერ იკმაყოფილებს თავის სოციალურ მოთხოვნილებებს. წინეთ, როცა ასეთი მოთხოვნილება ნაკლები იყო, რასაკვირველია, ჩვენებურ სახლთ-უხუცესს არ ჰქონია ისეთი მრავალგვარი მოთხოვნილებანი, რომელიც დღეს უბრალო მუშას აქვს. დღეს რაც ზოგან ხელმისაწდომია მუშისათვის, წარმოუდგენელიც იყო საშუალო საუკუნოების თავადისათვის მაგრამ განა აქიდან ის დასკვნა-გამოიყვანება, რომ დღევანდელი მუშა უფრო უზრუნველყოფილია ცხოვრებაში, ვიდრე მეფე და მისი კარის კაცები იყვნენ? არა! რატომ? მიტომ, რომ დღეს ცხოვრებამ საერთოთ მეტი მოთხოვნილება დაბადა, ხოლო გადიდებულ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ ხალხს საშუალება არ მისცა. უზრუნველ ყოფალია ადამიანი იმდენათ, რამდენათ მისი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულია. ინგლისელი მუშა გაცილებით უფრო კარგათ ცხოვრობს ჩვენებურზე, ხოლო განა ინგლისელი მუშა უზრუნველყოფილია? იმ დროს, როცა საზოგადოების სხვა კლასებს მოთხოვნილების მომატებასთან ერთათ ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელი საშუალებანიც ემატებათ, პროლეტარიატი მოკლებულია ამ საშუალებებს და სიღარიბის მუხრუჭები დღითი-დღე უფრო საგრძნობელი ხდება მისთვის. ამნაირათ ბურჟუაზიისა და პროლეტარიატს შორის უფსკრული ღრმავდება, ფართოვდება და არა კლებულობს, ივსება. ასე აზროვნობდენ „მანიფესტის“ ავტორები და ამ თეორიას „გაღატაკების თეორია“ (теорія обнищанія) ეწოდა მეცნიერებაში. აბა ვნახოთ, როგორ აზროვნობს პუბლიცისტათ წოდებული ბ. გოგიჩაიშვილი, რომელიც ყოველთვის ამ ავტორების ავტორიტეტით იფარებს თავს. აი მისი სიტყვები: „ეკონომიური მხრითაც არ შეიძლება ვთქვათ, რომ ვითომ ბურჟუაზიულ ხანაში მშრომელი ხალხი უფრო დაბეჩავებულათ და დამოკიდებული იყოს, ვიდრე იგო იგი ბატონ-ყმობის დროს. ვაჭრობა მრეწველობის აღორძინება დაფუძნებულია შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაზე; შრომის დანაწილება კი ნიშნავს ადამიანის საეკონომიო მოქმედების გაბარაქიანებას და განაყოფიერებას, სახალხო სიმდიდრის გაზრდასა და მატებას. რამდენათაც ერთის მხრით, წარმოების ტეხნიკა ვითარდება და ნაწარმოები იაფდება და მეორე მხრით მუშა ხალხი თავის ეკონომიური ინტერესებს იცავს და საზოგადოებაში მეტ გავლენას პოულობს, იმდენათ დაბიო ხალხი მაღლა იწევს კულტურულათ—უმრავლდება რაოდენობრივ მოთხოვნილებანი, ისე სახსარიც იმათ დასაკმაყოფილებათ*). საკმარისია ნახოთ ევროპაში საშუალო მუშის საოჯახო მოწყობილება და გაიცნოთ მისი ბიუჯეტი და ყოველდღიური ცხოვრება, რომ დარწმუნდეთ, თუ რაოდენათ მაღალ დონეზე დგას იქ მუშა ხალხი ნივთიერათ“... რას ამბობს ავტორი აქ? „დაბიო ხალხს უმრავლდება როგორც მოთხოვნილება, ისე სახსარი იმათ დასაკმაყოფილებლათო. რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ და გამოყავთ ხოლმე ბ. გოგიჩაიშვილის და გვარ მეცნიერებს აქედან? არსებულ წესწყობილებაში ხალხს უმრავლდება კულტურული მოთხოვნილებანი და სახსარი ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლათ. დაბიო ხალხი მაღლა იწევს ეკონომიურათ. თუ ხალხი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ახერხებს, მაშ ის ღარიბათ არ ჩაითვლება, ის უზრუნველ ყოფილი ყოფილა. ეს მოთხოვნილება ხომ დღითი დღე იზრდება, მაშასადამე, მისი დასაკმაყოფილებელი სახსარიც უჩნდება ხალხს, ე. ი. ხალხი დღევანდელ პირობებში ეკონომიურათ უზრუნველ ყოფილი ხდება. მაშ კაპიტალისტური წარმოების ზრდა უზრუნველყოფს პროლეტარიატს. ამით ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის უფსკრული ივსება, „საერთო ნიადაგი“ ჩნდება. აი რა უნდოდა ეთქვა და რა თქვა. ბ. გოგიჩაიშვილმა. მას შეუძლია შემდეგშიაც გვეკამათოს ამ კითხვების შესახებ და ჩვენც მზათ ვართ პასუხი გავცეთ. რასაკვირველია სერიოზულ და შინაარსიან წერილებზე. ხოლო ერთხელ და სამუდამოთ ნიღაბი უნდა ჩამოიხადოს და „მანიფესტის“ ავტორებს ნუღა ეფარება. რათ გეშინიათ ავტორიტეტის, რათ არ იხდით ნიღაბს, რათ ეფარებით ისეთ კაცებს, რომელთაც ნააზრ-ნაგრძნობი

*) კურსივი ჩვენია

თქვენთვის უმნიშვნელო და მიუკარებელია?! ის ისე გაუტაცნია ავტორიტეტების ამოფარების სურვილს, რომ ამისათვის ასეთ ხერხსაც კი მიმართა. ჩვენი აზრის დასარღვევათ და თავისი „საერთო ნიადაგის“ განსამტკიცებლათ მან კარლ კაუტსკი იმოწმა. „თუ ჩვენში არაო“, ამბობს ბ. გოგიჩაიშვილი, —გერმანიაში მაინც არიან ისეთი პირები, რომელნიც ჩვენ მოკამათეზე ნაკლებ არ იცნობენ მარქს-ენგელსის ნაწერებს. ერთი ასეთი კარგი მცოდნე გახლავთ გერმანელი კარლ კაუტსკი, რომელსაც ავტორების უუჭეშმარიტეს მოციქულათ თვლის თვით წულუკიძეც. წარმოიდგინეთ, ეს უცხოელი ჭეშმარიტი მოწაფე მასწავლებლისა არ ეთანხმება ჩვენ თანამემამულეს და ამ გვირათ ჩვენსავით უარყოფს და „დასცინის“ ავტორებს. კაუტსკი სწერს თავის წიგნში (Agrarfrage, გვ. 309, სტრიქ. მე-15 და შემდ. ზევიდან): „კაპიტალისტური საზოგადოება გაერთიანებული ორგანიზმია, რომელშიაც ერთი ნაწილის დაზიანება ცუდათ მოქმედებს სხვა ნაწილებზედაც. . ინტერესთა ჰარმონია სხვა და სხვა კლასებს შორის რაოდენიმეთ უეჭველათ არსებობს“... მაშ კაუტსკის აზრით, ერში კლასიურ ინტერესებსა და ბრძოლასთან ერთათ ზოგიერთ „ინტერესთა ჰარმონიაც“ ყოფილა, ხოლო სადაც ინტერესთა თანხმობაა, იქ არა მარტო „ბრძოლა“, არამედ შეთანხმებული კულტურული შრომა-მოქმედებაც შეიძლება“.

ა. წულუკიძე.

(შემდეგი იქნება).

ჟურნალ-გაზეთებიდან.

გასულ „ნაში დნი“-ს მე-16 ნომერში მოთავსებულია სათანადო წერილი ბ-ნ რეუსისა შემდეგი სათაურით: „ავხაზეთის აზრი რუსეთის „შესახებ“. წერილის მასალები ავტორს ამოუკრეფია ერთ ავხაზურ ჟურნალიდან, რომელიც ბერლინში გამოდის გერმანულ ენაზე.

ამ ჟურნალს სახელათ „Ost-Asien“ ქვია. დასწყისში ბ-ნი რეუსი ამტკიცებს, რომ ზემოხსენებული ავხაზური ჟურნალი სრულიად მიუდგომელათ მსჯელობს რუსეთის საქმეების შესახებ. რუსებს ის არ უყურებს „ბრმა სიძულვილის“ და „ველური მტრობის“ თვალით. პირიქით ჟურნალი ღრმა პატივისცემით იხსენიებს მეომარ რუსების გმირობას და დირსეულათ აქებს რუსების იმ მხარეებს, რომელნიც კულტურულათ ჩაიაგდებიან.

შემდეგ ავტორი გვაცნობს ავხაზური ჟურნალი აზრს რუსეთის ფინანსიური მდგომარეობის შესახებ. ფრიად საყურადღებოა ამ მხრივ ერთი ავხაზელის წერილი, რომლის შინაარსიც მოჰყვება ბ. რეუსს.

„ავხაზელი ავტორი მიგვითითებს უზარმაზარ ოქროს ფონდზე, რომელსაც ასეთი გაფიცებებით იცავს რუსეთი მუდმივი საზღვარგარეთელი სესხების საშვალებით,—წერს ბ. რეუსი — და საფუძველიანათ გვარწმუნებს, რომ რუსეთი ამ უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში თავის კასავალს ფარავს ნასესხები ფულის მეოხებით, რომ „ეს ოქროს ფონდი არამც და არამც არ ჩაითვლება ეკონომიური ძალების მომასწავებლათ; პირიქით, ის არის ნიშანი ეკონომიური სისუსტისა. ფინანსთა მინისტრი მსხვერპლათ წირავს პურაცხელი მდიდრების ხმათავს, იღიდან საგზალი არ ჩაელიოს ხელში და არ დაიღუპოს მოუსვლობის წყლიწადში“. ნამდვილი საფუძველი კი რუსეთის ფინანსების—მეურნეობა—ძალიერ სამწუხარო მდგომარეობაში იმყოფება. დახტინის გამოანგარიშებით. „ქვეყანაზე არ მოიპოვება ისეთი მხარე, სადაც რუსეთზე ტოტა სამკვდი იყოს, ე. ი. სადაც მეურნეობის საქმე რუსეთზე უარესათ იყოს დაყენებული“. ავხაზელი მწერლის აზრით მთელი რუსეთის ფინანსები რუსული ბურის გარეთ გაიდგაზეა გამეფებული და ამისათვის 16 წლის განმავლობაში გაუტანებია 7 მილიარდი თუთი ბური, დირებული დასაფლებით 5 მილიარდ მანათად. და ეს „ბურება ხორბლის“ უნდა გამოელახა იმ ხალხმა, რომელსაც „ველარ გაუბედავს თითონ ჯამის იმ დენი ბური, რამდენსაც გერმანელი ან ფრანგი ჯამს. ამნაირ პირობებში ბურის გარეთ გასაიდვა სახელმწიფოს უკიდურესი ზომების საშვალებით ხდება ხოლმე; მოიმკის თუ არა ბური, გლეხმა მაშინვე უნდა გაიხადოს სახელმწიფოს გადასახადი; ამისთვის იგი იძულებულია გაყიდოს ის ბური, რომელიც მისთვის აუცილებლათ საჭიროა, რომ მემდეგ მოსავლამდის თავი შეინახოს“. ამნაირ სურათს რუსეთის ფინანსური მდგომარეობისას იძლევა ავტორი არა ერთხელ დასძენს თავის განცვიფრებას შესახებ რუსის ხალხის უგიცობისა. ევროპიელმა სალდათებმა იციან წერა-კითხვა, რუსის ტუვე სალდათებში იშვიათათ გამოერევა წერა-კითხვის მცოდნე. ასში 95-ს არ შეუძლია თავის სახელის და გვარის დწერა ხმელეთის ჯარის სალდათებში. მხოლოთ მეზღვაურთა შორის მოიპოვება ცოტა მეტი რიცხვი წერა კითხვის მცოდნეთა.

არც რუსეთის შინაური მდგომარეობაა საიმედოთ იძლევიან—განაგრძობს ბ. რეუსი. იძლევიან თავის წერილებში არა ერთხელ იმეორებენ, რომ ახლანდელ ომში იგინი „ებრძვიან რუსეთის ბიუროკრატიას და არა რუსეთის ხალხს“. მათ მოუვათ ტუვე რუსების აზრი შესახებ ომისა. ევროპიელ ტუვეებ ერთხმათ ადიარებენ სურვილს ზავის ჩამოგდებისას; ამბობენ, რომ მათ არ სურთ ბრძოლა, რომ „ისეც ბევრია მიწა რუსეთში“. მხოლოთ სალდათის მოვალეობამ აიძულა იგინი იარაღი აელოთ იძლევიანების წინააღმდეგ“.

შემდეგ ბ. რეუსს მოაქვს ჟურნალის რედაქტორის ტიპის შეხედულება რუსეთის ბიუროკრატიის და ხალხის ურთიერთ განწყობილებაზე. ტიპია ამბობს, რომ ამ განხეთქილების ასტიდებლათ საჭირო მოხდეს უარეოთ ან არსებულ მართვის წესებისა.

გარდა ამისა გაზეთის რედაქტორს აუცილებლათ მიაჩნია შემდეგი: საეოველთაო პატიება ყველა პოლიტიკური დამნაშავეებისა, შემოღება ხალხისთვის კონსტიტუციისა, ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება, ერიდობათა და კრებების თავისუფლება, საეოველთაო სასკოლო ბეგარა (გადასახადი), ძირითადი რეფორმა სასამართლოს და სატუსალოს საქმეებისა და... კარგი მოხურობა განათლებულთადმი.

ახლანდელი დამარცხება ზღვაზე და ხმელეთზე, რასაკვირველია, დაარწმუნებს რუსის მთავრობის, რომ რუსეთმა კიდევ ბევრი რამ უნდა შეისწავლოს არა თუ მარტო დასავლეთ ევროპიდან, არამედ აღმოსავლეთიდანაც კი და განსაკუთრებით, იაპონიისაგან. „შეიძლება დამარცხებამ აღმოსავლეთ აზიაში, სადაც მრავალი ათასი ხალხი ეთხოვება სიცოცხლეს, მეტი კეთილდღეობა მოუტანოს რუსეთსა“. ამიტომ რომ იაპონიის გამარჯვება კულტურის გამარჯვებას ნიშნავს ტიპიის აზრით და უმეტესათ ევროპიული კულტურის რუსეთის უკულტურობაზე. „უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ რუსეთის კულტურა, ამ ომის წაგების მეოხებით, წინსვლის გზას დაადგებაო“.

„თუ როგორ თვალსაჩინო დიდს ასვამს რუსული უკულტურობა სამხედრო მოქმედების მსვლელობას,—ეს იაპონელებმა თავისი საკუთარი გამოცდილებით იციან. და ყველაზე უწინ ისინი თავის უდიდეს მოკავშირეთ რუსეთის საინტენდანტოს თვლიან. ბევრათ ადრე, ვინემ „ნოვოე კრემია“ დაიწყებდა ამის შესახებ დაბეჭდვას, იაპონურმა ჟურნალმა გამოაქვეყნა გასაოცარი ამბები სამხედრო ოჯახებისა, სურსათის საქმის ცუდათ მოწყობისა, დაჭრილთა და ავათმყოფთათვის წამლების და შესახვევ მასალის მიწოდების უწეს-რიგობის შესახებ.— „Ost-Asien“-ში მოთავსებული ტყვე—რუსების ნაამბობი მოწმობს, თუ როგორი ამტანი და დიდათ მომთმენი არიან რუსები და ამასთანავე როგორ არეულ-დარეულათ არის მოწყობილი ყველა ის საქმე, რაც სალდათების უბერველად მოთხო-

ვნიდებათ დაკმაყოფილებას შეუძლია. სტეფლების და ფეხსაცმელების უქონლობა ისეთი სავრძნობელია, რომ მხოლოთ განსაკუთრებული წესების წყალობით ცვლენ სასუფთაოს და ჰიგიენას იცხონიდებიი თავის დატუქებულ მტერთა შორის, მეორე მხრით კი ყურადის ფურცლებზე ხშირათ გვითხულობთ ამბებს შორეულ ადმოსავლეთელ ინყინრების საოცარ ფუფუნებაზე, რომორი მეფური სიუხვით ფლანგავენ ფულებს ინტენდანტები სახლებზე, ქეიფზე და მოსამსახურეებზე, რომორ თავ-აშვებულათ ატარებს დროს ჩვენი ოფიცრები და სხ.“

ომის დაწყების წინ თითონ რუსები ცდილან იაპონელ ქალებში გარეგნილების გაძლიერებას. მრავალი იაპონელი ქალი მოყვდათ მხიარულ სახლებში, რომელთა რიცხვი ფრიად გამრავლდა ომის წინ მანჯურიაში, და რომლებსაც რკინის გზის თუ სახელმწიფო (?) ხარჯით აარსებდნენ. რუსის გენერლებს თითქმის ყველას ყავდა თითო იაპონელი ქალი ხასათ; ძალიან აკვირვებს აგრეთვე იაპონელების ის კარმოება, რომ ჩვენი მოქმედი ჯარი სხვადასხვა ტომის ხალხისგან შესდგება. იმით კერ წარმოუდგენიათ, თუ რაკორ მოხდა, რომ იმ მეომართა შორის, რომელთაც აიტანეს ომის პირველ დაწყებითი სტადიის სიმწარე და სიმძიმე, იმყოფებოდნენ მრავალი ებრაელები და პოლონელები. იაპონელებს შეუნიშნავთ, რომ ყველა ტომის ტყვე მეომრები: რუსებიც, ებრაელებიც, პოლონელებიც გულცივათ უყურებენ ახლანდელ ომს. იაპონელები იბრძვიან თავდაცვითი შეგნებული პატრიოტიზმის გრძნობით გატაცებულნი, რუსები კი, იაპონელების აზრით, იბრძვიან იმიტომ, რომ მათ უბრძანებენ იბრძოლეთო. „რუსები მიდიან ომში, კვდებიან და ტყვეთ ეყრდებიან მტერს, როგორც ბნელი პასიური მასა და არა, როგორც თავის მიმულის არსებობის დამცველი თავისუფალი მოქალაქენი“.

„ხოლო რაცა ტყვეთ ეყრდებიან, ამხიარათ მსჯელობენ ომის შესახებ: „მაღლობა ღმერთს, ახლა ადარ არის საჭირო კვლა და ადარც ჩვენ მოგკვლავს ვინმე. ახლა გულ-დამშვიდებით შეგვიძლია ვუცადოთ ომის გათავებას და ვიზრუნოთ ჩვენს შორს მიტოვებულ ოჯახებზეო“. იაპონიელები კი დრმა სიბრალულით შესცქერიან თავის მამაც მოწინააღმდეგეთ და იმათ გამარჯვების სიხარულის გრძნობას ძალ უნებურათ უერთდება მეორე გრძნობა; ეს გრძნობა აიძულებს მით მედიდურათ, ზევიდან ქვეით უცქირონ თავის მტერს. რომელიც აქ, თავის შინ სცხოვრობს სიბნელის ულელ-ქვეშ დატანჯული და ეოველ უფლებას მოკლებული, აქ კი უდრტვინველათ კვდება მანჯურიის უცნობ გელ-მინდორზე მთავრობის ბრძანებისამებრ. და ისმენთ კიძახის ამისთვის დოქტორი იბიკაჯა: „ეს ომი არამც და არამც არ გამოუწვევია არც სარწმუნოებრივ, არც გვარტომობრივ განსხვავებას, არამედ ეს ორი კულტურის ომიაო. ეს არის ბრძოლა უფლების უფლებობასთან, ადმოსავლეთის—ადმოსავლეთის არარათ ჩაგდებასთან, თავისუფლების—დამონავებასთან, კულტურის ბარბაროსობასთანო... ჩვენ, იაპონელები, არავითარ სიძულვილს არ გგრძნობთ რუსის ხალხისადმი პირიქით, ჩვენ კიდეც გაგვიხარდება, თუ რომ ცოტა ხანში მის კეთილდღეობაზე მოგვიხდებოდეს დაბარებაო“.

რედ.-გამომც. **ი. პ. როსტომაშვილი.**

განცხადება

თფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ბ. ი. ჭიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი, ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. $9^1/_2$—$10^1/_2$ ს.

ნ. ტ. ბულინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი.— შინაგანი, და ნერვების: 12—1ს.

ქ. ქალი ე. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

კ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა $12^1/_2$ $1^1/_2$ საათ.

ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავათმყოფოს აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო დანომერი—5 მ.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაქსკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ბ.

ტელეფონი № 274.

მიიღება ხელის მოწერა 1905 წლ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი **„ივერიაზე“** ოცდაცხრა

ფასი: ერთი წლით **10** მან., ცალკე ნომერი **3** კაპ.

გამოვა ყოველ დღე, ორშაბათობითაც განახლებულის რედაქციით და ახალ თანამშრომელთა მონაწილეობით.

გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება.

წლიური ხელის მომწერლები მიიღებენ წლის განმავლობაში პრემიად 12 წიგნს საერთო სათაურით: „ივერიის ბიბლიოთეკა“. როგორც თვით გაზეთში, ისე საბრემიო წიგნებშიაც იქნება ხოლმე

სურათები და სხვა და სხვა ილიუსტრაციები.

გაზეთის წლიური ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ.

სახალხო სკოლის მოსწავლებლებს, თვით სკოლებს და სახალხო სამკითხველოებს გაზეთი ბრემიებითურთ დაეთმობათ 7 მან. ან ნახევარის წლით 4 მან.. ამ შემდგომიან ხელი მომწერთაც შეუძლიანთ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ ხვედრი ფული: ოთხ თითო მანეთი, ვიდრე სრული შემოსატანი შესრულდებოდეს.

საფოსტო ადრესი: **Тифлисъ. Редакція „ИВЕРІА“.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 14-го января 1905 г.

ელექტრომბეჭდავი თავ. გრ. ნ. დიასამიძისა, სასახლის ქ.